დანართი №.5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ქალაქ გორის N 12 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ელერდაშვილი

წევრები:

1. მეგი როსტიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი , წევრი;
2. შორენა გოგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრიცი ექსპერტი;
3. დავით ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
4. ნინო ავალიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
5. ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
6. თინათინ ლაზარიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
7. სოფიო ჯგერენაია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
8. ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
9. ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
10. თამარ ზედგენიძე - სპორტი საგნობრივი ექსპერტი;

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**218016769**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი გორი
ფაქტობრივი მისამართი	ქ.გორი, ნინოშვილის ქ. N54
საფოსტო ინდექსი	**1400**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/3I6QQAs

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Gori12@mes.gov. ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922507

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 25 0000476040 02/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19.06.2025 - 20.06. 2025წწ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-

				ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. გორი, ნინოშვილის ქ. N54 - შენობა ნაგებობა 4
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქ. გორი, ნინოშვილის ქ. N54 - შენობა ნაგებობა 4
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. გორი, ნინოშვილის ქ. N5 N54 - შენობა ნაგებობა 4

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი ექსპერტების მიერ ძირითადად შეფასდა დადებითად. ვიზიტამდე მოხდა ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის შესწავლა, ხოლო გარკვეული საკითხების დაზუსტება მოხდა ადგილზე დათვალიერებისას და სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას. საგნობრივი ექსპერტების მიერ დაზუსტდა გარკვეული

საკითხები ონლაინ ჩართვისას, ასევე აქტიურად იყო მასალების შემოწმებაში ჩართული დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, რომელიც შედგომ ექტაპზე კვლავ თანამშრომლობდა საგნობრივ ექსპერტებთან, ჩართული იყო ონლაინ პედაგოგებთან შეხვედრისას და აზუსტებდა გარკვეულ საკითხებს.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, რაც სკოლის ძლიერი მხარეა ;

ექსპერტების მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---1069----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის წარმოდგენა, შესაბამისობის გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ვადის მიხედვით 08.09.2025;*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი *N 3.4.1.1.*	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული*	*სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის/ან მიმართვის წარმოდგენა უფლებამოსილ ორგანოსთან სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.08.2026)* *სკოლამ უზრუნველყოს რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობის მდგრადობი დასკვნის წარმოდგენა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადაში (08.08.2026)* *სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ განახლებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.08.2026)*

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი *N 3.1.2.6.*	*სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი*	*სასურველია შინაგანაწესში სკოლამ გაწეროს წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისთვის შესაბამისი მექანიზმები — ანუ როგორ ხდება დასახელებული წარმატების სხვებისთვის გადაცემა (მაგ., პედაგოგიური საბჭოზე წარმოდგენა, მენტორობა, სემინარები და სხვა); ასევე მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატების საჯარო გაზიარების მექანიზმი;*
ინდიკატორი *N 3.2.1.1*	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*	*სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში დეტალურად იყოს გაწერილი კონკრეტული კრიტერიუმები მასწავლებელთა და სხვა პერსონალის შეფასებისთვის; განისაზღვროს შეფასების ციკლი (ვინ, როდის და როგორ აფასებს); გამოიყენოს თვითშეფასების ფორმები; დაკვირვების სტანდარტული გარათები; შემუშავდეს უკუკავშირის მექანიზმები;*

ინდიკატორი *N3.2.1.2*	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	*სასურველია სკოლამ წარმოადგინოს პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები გეგმის მიხედვით, რომელიც შედგენილი იქნება კონკრეტული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; სასურველია განსაზღვრული იყოს - მიზნები და პრიორიტეტები; ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები, მონიტორინგისა და შედეგების შეფასების ფორმები;*
ინდიკატორი N3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს*	*სასურველია, სკოლამ განიხილოს ერთიანი დოკუმენტის შექმნა, სადაც სისტემატურად იქნება გაერთიანებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პოლიტიკა, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პროცესების მართვას და გაზრდის სისტემის გამჭვირვალობას.*
ინდიკატორი N3.3.1.2.	*იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტის სახით, სადაც გაწერილი იქნება სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები და იგი იქნება ხარისხის მართვის დოკუმენტების ნაწილი;*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს წარმოადგინოს ფიზიკური უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგი*

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	*დაცვის მექანიზმი და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მეთოდოლოგია..*
ინდიკატორი N3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	1. *სკოლამ დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი „პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 33) შესაბამისად;* 2. *სასურველია, სკოლამ გადახედოს დოკუმენტებში პერსონალური მონაცემების გამჟღავნების რისკს, რათა თავიდან აიცილოს შემთხვევით გაპარული*

		იდენტიფიცირებადი ინფორმაცია და კიდევ უფრო განამტკიცოს მონაცემთა დაცვის პრაქტიკა.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სასურველია აზომვითი ნახაზის განახლება რეაბილიტაციის შემდგომი არსებული რელობის გათვალისწინებით.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ დამატებით შეისწავლოს ქალაქში მოქმედი ლიფტის მომსახურების კომპანიები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიფტის გამართული ფუნქციონირება და მომსახურების ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი N3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სასურველია სკოლამ წარმოადგინოს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმის განახლებული ვერსია (2024-25 წლის) ;
ინდიკატორი N3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია, სკოლამ არსებული პრაქტიკა — ტექნოლოგიური რესურსების სარგებლობის განრიგი და წესი — სისტემატიზებული სახით გააერთიანოს ერთ დოკუმენტში, მაგ მატერიელური რესურსებით სარგებლობის წესის სახით;

ინდიკატორი N3.7.1.2.	*სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა*	*სასურველია, სკოლის შიდა რეგულაციით წინასწარ იყოს შემუშავებული ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესი და პროცედურები.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი საფეხური*	***რჩევა***
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია **III და IV კლასის კურიკულუმში,** სავალდებულო თემები გაიწეროს ბუნებისმეტყველების სტანდარტის შესაბამისად. თემების სვეტში ორივე კლასში მოცემულია სახელმძღვანელოს თავები.
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის განტვირთვის მიზნით სასურველია გაუქმდეს გრაფა, რომლებშიც გაწერილი საგნობრივი სტანდარტები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში გამოიყოს უფრო მეტი სასწავლო საკითხი და სასწავლო საკითხები დამუშავდე

		არა ერთდროულად ყველა სამიზნე ცნების, არამედ 1 ან რამდენიმე ცნების ფარგლებში სასწავლო საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა** - მუსიკის მე-6 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია თემა „ეთნოგრაფია და მუსიკა“, დაწყებით საფეხურზე მუსიკის სტანდარტში მოცმეულია სავალდებულო თემები, რაც აუცილებლად უნდა დამუშავდეს წლის მაძილზე. სასურველია დაზუსტდეს დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის თემები სტანდარტთან თანხვედრაში.
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია კურიკულუმის შემდგომი გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით (საგანმანათლებლო რესურსების ლინკები, მასწავლებლების მომზადებული. მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.). რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **უმეტესწილად დაწყებით და საბაზო საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს	**სახელმწიფო ენა** - სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც ტექსტები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მოცულობითი თემებთან

	მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა.
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.
ინდიკატორი N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ესთეტიკური აღზრდა** - მუსიკის საგანში აქტივობაში მოცემულია შემდეგი პირობა: „გაავლოს წერტილებზე ხაზის გავლებით სხვადასხვა ტიპის ხაზები“, სასურველია ასეთი აქტივობა დაკონკრეტდეს მუსიკის მახასიათებლებთან მიმართებაში, მაგ.: გაავლოს ხაზი ბგერის სიმაღლის, ან ბგერის სიძლიერის, ან ტემბრის მიხედვით და სხვა.
ინდიკატორი N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების

		ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში.
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია მოსწავლის შეფასების რუბრიკაში სასწავლო პროცესში ჩართულობის კომპონენტის ჩართვა, ამასთანავე რუბრიკების შეფასების შედგენის დროს უფრო მეტი კონცეტრირება სასწავლო საკითხის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნების / ცნებების გააზრებაზე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** - შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.
ინდიკატორი N.2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი, მარტივი სტრუქტურა, რომელშიც გაწერილი იქნება სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები.
ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია მოსწავლის შეფასების პროცესში გაძლიერდეს თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების მიმართულებები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** - სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.

ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** - სასურველია, გამოიყენონ შეფასების სხვა ფორმები. მაგ: თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. ამავდროულად, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი N2.2.2.1		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ/გამოიყენებენ სწავლების პროცესში, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის განტვირთვი მიზნით სასურველია გაუქმდეს გრაფა, რომლებშიც

		გაწერილია საგნობრივი სტანდარტები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში გამოიყოს უფრო მეტი სასწავლო საკითხი და სასწავლო საკითხები დამუშავდეს არა ერთდროულად ყველა სამიზნე ცნების, არამედ 1 ან რამდენიმე ცნების ფარგლებში სასწავლო საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია კურიკულუმის შემდგომი გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით (საგანმანათლებლო რესურსების ლინკები, მასწავლებლების მომზადებული. მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.). რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **უმეტესწილად დაწყებით და საბაზო საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით	**სახელმწიფო ენა** - სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც ტექსტები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მოცულობითი თემებთან

	გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა.
ინდიკატორი N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებ უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია მოსწავლის შეფასების რუბრიკაში სასწავლო პროცესში ჩართულობის კომპონენტის ჩართვა, ამასთანავე რუბრიკების შეფასების შედგენის დროს უფრო მეტი კონცეტრირება სასწავლო საკითხის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნების / ცნებებ გააზრებაზე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**

ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა** - მუსიკის საგნის მე-9 კლასის განმსაზღვერლი შეფასების რუბრიკაში ცნებებს მინიჭებული აქვს 2 ქულა და შემდგომ გაწერილია პროდუქტის შეფასება. სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალური ქულას შეადგენს.
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** - შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია მოსწავლის შეფასების პროცესში გაძლიერდეს თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების მიმართულებები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** - სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე,

		როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, სკოლამ დამატებით, ქიმიის ლაბორატორიაში გამწოვი კარადა დაამონტაჟოს.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის განტვირთვი მიზნით სასურველია გაუქმდეს გრაფა, რომლებშიც გაწერილია საგნობრივი სტანდარტები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**

ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში გამოიყოს უფრო მეტი სასწავლო საკითხი და სასწავლო საკითხები დამუშავდეს არა ერთდროულად ყველა სამიზნე ცნების, არამედ 1 ან რამდენიმე ცნების ფარგლებში სასწავლო საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა** - სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც ტექსტები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მოცულობითი თემებთან მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა.
ინდიკატორი N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა** - სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას

		მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია მოსწავლის შეფასების რუბრიკაში სასწავლო პროცესში ჩართულობის კომპონენტის ჩართვა, ამასთანავე რუბრიკების შეფასების შედგენის დროს უფრო მეტი კონცეტრირება სასწავლო საკითხის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნების / ცნებები გააზრებაზე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
ინდიკატორი N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** - შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასურველია მოსწავლის შეფასების პროცესში გაძლიერდეს თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების მიმართულებები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**

ინდიკატორი N.2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა** - სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, სკოლამ დამატებით, ქიმიის ლაბორატორიაში გამწოვი კარადა დაამონტაჟოს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი 1.2.1.2 (სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს) და ინდიკატორი 1.2.1.3 (სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას) მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული, რადგან წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დოკუმენტის აღწერის მიხედვით იყო შვიდწლიანი, თუმცა იყო ხარვეზი წლების სწორად მინიჭებასთან დაკავშირებით, ასევე სამოქმედო გეგმა არ გამომდინარეობდა სტრატეგიული გეგმიდან და შესაბამისად სამოქმედო გეგმა არ ეფუძნებოდა სტრატეგიულ გეგმას. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად 1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების ბოლო ვადა იყო 08.08.2025. სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. აღსანიშანვია, რომ 1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და შესაბამისად სამოქმედო გეგმის წარმოდგენის თარიღად განსაზღვრა 08.09.2025.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 1.2.1.2 ინდიკატორი დასკვნის ფარგლებში შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო ინდიკატორი 1.2.1.3 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი;.

2.დასკვნის პროექტის მიხედვით ინდიკატორი 3.4.1.1 (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრულია 08.08.2026. სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გაგზავნილი წერილი (დანართი N3)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.4.1.1 დასკვნის ფარგლებში შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ - ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლას (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლებიც ორიენტირებულია სკოლის განვითარებაზე. მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.კონკრეტულად კი **ეროვნული, პატრიოტული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების აღზრდა** პირდაპირ შეესაბამება ზგემის მე- 3 პუნქტს; **მაღალი სამოქალაქო ცნობიერება** შეესაბამება ზგემის 1-ელ პუნქტს:**„ციფრული მოქალაქეობა“ და ფუნქციურ-კომპონენტური უნარები** ასახავს ზგემის მე- 4 პუნქტს: **საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და თვითდამკვიდრება** შეესაბამება ზგემის მე- 6 პუნქტს.

რაც შეეხება სკოლის ხედვას, რომელიც ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვაა: ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში, მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა

სასკოლო ცხოვრებაში, სსსმ მოსწავლეებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად სკოლის მისია სა ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.**სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**;

სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს და პასუხობს მის არსს შემდეგი მიმართულებებით: სოციალურ-კულტურულ სივრცედ განსაზღვრა:

– როგორც მისიაში, ისე ხედვაში მკაფიოდ ჩანს სკოლის მისწრაფება, რომ გახდეს არა მხოლოდ განათლების მიმწოდებელი, არამედ **სოციალური და კულტურული ღირებულებების ფორმირებაში** ჩართული სუბიექტი.

– აქცენტი კეთდება ეროვნული, პატრიოტული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შეთვისებაზე, რაც ქმნის კულტურულად მდიდარ და ინკლუზიურ გარემოს. **უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა**

– ტექსტში პირდაპირ არ არის ნახსენები სიტყვა „უსაფრთხოება“, თუმცა **სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვა**, **საზოგადოების კონსტრუქციული ჩართულობა** და **ფუნქციური უნარების განვითარება** მიუთითებს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნაზე, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქო-სოციალური თვალსაზრისით. **პიროვნულ განვითარებაზე ორიენტაცია**

– სკოლის მისია და ხედვა ასახავს **ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზებისა** და **თვითდამკვიდრების ხელშეწყობას**, რაც წარმოადგენს პიროვნული განვითარების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს.

– ასევე გათვალისწინებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და მასწავლებელთა პროფესიული ზრდა, რაც ქმნის განვითარებაზე ორიენტირებულ განათლებრივ სისტემას. მაშასადამე, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორცსასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს ოქმი N32 (07.09.2024წ), რომელშიც არის დღის წესრიგის საკითხი N5 - სკოლის მისია და ხედვაში ცვლილებების შეტანის შესახებ ინფორმაციას აწვდის სკოლის დირექტორი, რომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი დირექციის , სტრუქტურული ერთეულებისა და კათედრის თავმჯდომარეების შემადგენლობით, სამუშაო ჯგუფმა კორექტირება შეიტანა სკოლის მისიაში და ხედვის შესავალ ნაწილში 2024 წლის 12 ივნისის საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილებით გამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში. (N4261-XIVმს Xბ) .

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე (https://bit.ly/44byp6l), ასევე სასკოლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედსაბჭოზე. აღსანიშნავია, რომ სკოლაში პირველ სართულზე, ფოიეში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმი და თვითმართველობის ოქმი. ორივე დოკუმენტი ადასტურებს რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ვებ-გვერდზე (https://bit.ly/3H5AGqq.
)და სკოლის პირველ სართულზე, ფოიეში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ორივე შემთხვევაში დასტურდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

თ. ელიზ.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდებაა: სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N1 - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N32;
- დანართი N2 - პედაგოგიური საბჭოსა ოქმი 1 2024-25წ (სსგს დამტკიცების შესახებ;
- დანართი N3 - მშობელთა კრების ოქმი N1 (XI გ კლასი);
- დანართი N4 - თვითმმართველობის სხდომის ოქმი N2;
- სკოლის ვებ-გვერდი - https://bit.ly/4492SAO ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს მისიასა და ხედვაზე დაფუძნებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია. დოკუმენტი დამტკიცებულია **ბრძანებით N2-53 ა (17.03.2025წ)**

მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე განსაზღვრულია შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგ[illegible] ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ [illegible] წარმოდგენილი მეთოდოლოგია ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისია.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლას წარმოდგენილი აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2024-2030), რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. მიზნები დაკავშირებულია სკოლის მისიასთან, რომლებიც ჩაშლილია ამოცანებად და ერთმანეთთან არის შესაბამისობაში. თავად დოკუმენტი ცხრილების შესაბამისად არის შვიდ წლიანი, თუმცა თარიღში იქნება ცვლილება შესატანი, რომ სტრატეგიული გეგმა იყოს შვიდწლიანი. სკოლის მიერ წარმოდგენილია ბრძანება N2-323 (12.12.2023 თარიღით), სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ჯგუფის შექმნის შესახებ; ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 23, რომელშიც ერთ-ერთ საკითხად შეტანილია სტრატეგიული გეგმის დამტკიცება ადასტურებს ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობას;

სკოლის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მოწოდებული იქნა სამეურვეო სამბჭოს ოქმი (08.08.2025) რომლის დღის წესრიგის საკითხია: სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების ვადებთან დაკავშირებით ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა. ასევე სკოლამ წარმოადგინა განახლებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ფორმალურად შეესაბამება დოკუმენტის სტრუქტურულ მოთხოვნებს, თუმცა მისი შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ის სრულად არ ეყრდნობა სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებს. სტრატეგიულ გეგმარებაში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფასა და სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე.

სამოქმედო გეგმის მიზნები, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, ფრაგმენტულად ეხება აღნიშნულ პრიორიტეტებს და ძირითადი სტრატეგიული ხაზები საკმარისად არ არის გამოკვეთილი. კერძოდ, ერთწლიანი გეგმაში ურთიერთობაში არ ჩანს მკაფიო კავშირი სტრატეგიული მიზნების — მაგალითად, ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა განვითარების პროცესთან.

გარდა ამისა, დოკუმენტში არ არის საკმარისად თვალსაჩინოდ წარმოჩენილი სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით დაგეგმილი ქმედებები. შესაბამისად, მოქმედი გეგმა ნაწილობრივ ასახავს სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს და საჭიროებს შინაარსობრივ დახვეწას, რათა სრულად შეესაბამებოდეს ინდიკატორის მოთხოვნებს;

შესაბამისობის გეგმის მიხედვით , რომელიც სკოლის მიერ იქნა წარმოდგენილი, სკოლა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წარმოდგენას, რომელიც სტრატეგიულ გეგმას ეფუძნება გეგმავს 08.09.2025 თარიღის შესაბამისად;

ინდიკატორი 1.2.1.3. მეტწილად შესაბამისი;

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი აქტივობები — გეგმის შინაარსი ეხმიანება სტრატეგიული მიზნებს (მაგ., სწავლა-სწავლების გაუმჯობესება, სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა, მშობელთა ჩართულობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა), თუმცა 100%-იანი შინაარსობრივი შესაბამისობის თემა უკვე წინა ინდიკატორში განვიხილეთ და აქ არ იმეორებს თავს.
შესრულების გაზომვადი ინდიკატორები — ყველა აქტივობას თან ახლავს კონკრეტული ინდიკატორი (მაგ.: ოქმი, ლოგიკური ტესტი, ფოტო, ვებგვერდი, დავალება და ა.შ.), რაც აკმაყოფილებს „გაზომვადობის“ კრიტერიუმს.
რეალისტური ვადები — ვადები განაწილებულია სასწავლო წლის განმავლობაში, ეტაპობრივად და შესაძლებელია

განხორციელება მოცემულ კალენდარულ ფარგლებში.

პასუხისმგებელი პირები / სტრუქტურული ერთეულები — ყველა აქტივობას ჰყავს პასუხისმგებელი პირი ან ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების თვალსაჩინოებას.

შესაბამისი რესურსები და მათი რეალისტურობა — რესურსები (ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური) მითითებულია ყველა აქტივობაზე. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული მასალები, ტექნიკური მოწყობილობები) სასურველია დამატებით კონკრეტიზაცია, თუმცა მთლიანობაში რესურსები სწორადაა განსაზღვრული.

სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან: წარმოდგენილია სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრაში მყოფი აქტივობები, განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. გეგმა სტრუქტურულად სრულყოფილია და რეალისტური განხორციელების პოტენციალი აქვს.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება - N2-323 სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი 23 (14.01. 2024)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომლის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ ახორციელებს. იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება კი ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე შეგროვილი მტკიცებულებების წარდგენა და შეფასებაზე, რომელსაც სამუშაო ჯგუფი ახორციელებს, ცვლილებების საჭიროების შესახებ ინიცირებას ჯგუფი წარუდგენს დირექტორს. ცვლილებების საჭიროების შეთანხმება და კომენტარები განთავსდება ვებ-გვერდზე; აღწერილობის შესაბამისად სტრატეგიულ გეგმაში დასტურდება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არსებობა.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

აღსანიშნავია, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელებასთან ერთად ახორციელებს **მონიტორინგსა და შეფასებას** დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ამის დადასტურებაა 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ განხორციელებული აქტივობების აღწერას, არამედ შეფასებას და გაანალიზებულ შედეგებს.

ანგარიშში მოცემულია თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან დაკავშირებული აქტივობები, მათი შესრულების ხარისხი და გავლენა სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაზე. ასევე იკვეთება, რომ სკოლა მიმართავს ქმედით შეფასებას — შედეგებზე დაფუძნებულ შეფასებას და განვითარების შემდგომი მიმართულებების დაგეგმვას. განსაკუთრებულად აღსანიშნავია სასკოლო საზოგადოების (მშობლების, პედაგოგების, მოსწავლეების) ჩართულობა როგორც სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში (მაგ., კომპლექსური დავალებები, შეფასების სისტემა, გაცდენები და სხვა),
 რაც ცხადყოფს, რომ უკუკავშირი გროვდება და აისახება გადაწყვეტილებებში.
ანგარიშში ასევე ჩანს, რომ შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი აღწერით — აქტივობების შედეგების ანალიზი და განვითარების შემდგომი გზების განსაზღვრა ფაქტობრივად ხდება, რაც მეთოდოლოგიური მონიტორინგის მაჩვენებელია.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ადასტურებს, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი მოიცავს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირსა და ჩართულობას, რაც სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის არსთან. სკოლა მუშაობს გამჭვირვალედ და რეაგირებს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაკამყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. 2024 წლის **სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ატვირთულია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე**, რაც იძლევა შესაძლებლობას სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს გაეცნოს განხორციელებული აქტივობების დეტალურ ანალიზს და მიღწეულ შედეგებს. აღნიშნული პრაქტიკა ამყარებს სკოლის ღიაობას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გაანალიზება. ანალიზის შედეგად გამოიკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რისი გათვალისწინებითაც სკოლა დასახავს ინტერვენციებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის; სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის **სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.** დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განხორციელებული აქტივობები არ დარჩა მხოლოდ ფორმალურად — **შედეგები აისახა სკოლის განვითარებაზე და ახალ გეგმებზე.** მაგალითები ანგარიშიდან, რომლებიც ადასტურებს ინდიკატორის შესრულებას:

1. **პედაგოგების პროფესიული განვითარება** – განხორციელდა ტრენინგები, ურთიერთდაკვირვება, პრაქტიკის შეფასება და გამოცდილების გაზიარება. ამ პრაქტიკამ ხელი შეუწყო მასწავლებელთა უნარების განვითარებას და გააჩინა ახალი საჭიროებები, რაც სავარაუდოდ ასახვას პოვებს მომდევნო გეგმაში.

2. **მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა** – სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის აქტიური ჩართულობით განხორციელდა ბიუჯეტური გადაწყვეტილებები და სკოლის მართვაში თანაბარი მონაწილეობა, რაც აძლიერებს დემოკრატიულ მართვის კულტურას და აჩენს შემდგომი ჩართულობის გზებს.
3. **თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლებაში** – აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა ციფრული პლატფორმა და რესურსი (Kahoot, Teams, Code.org და სხვ.), რაც ცხადყოფს, რომ სკოლის განვითარება ემყარება პრაქტიკაზე და არა მხოლოდ ფორმალურ დაგეგმვაზე.
4. **სსსმ მოსწავლეებისთვის რესურსების განვითარება** – სარეაბილიტაციო პროცესების მიუხედავად, სკოლა ცდილობდა უზრუნველეყო სსსმ მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები და აგრძელებდა რესურსოთახის გამდიდრებას, რაც აჩვენებს მდგრად მიდგომას და შედეგზე დაფუძნებულ გეგმას.
5. **გარე პროექტებში მონაწილეობა და მიღწევები** – სკოლამ სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის შედეგად მოიპოვა ტექნიკური მხარდაჭერა (მაგ., USAID-ის კონკურსით მიღებული 5000 ლარიანი ტექნიკა), რაც გამოყენებულია სკოლის რესურსების გასაძლიერებლად და მომავალი აქტივობების გასაფართოებლად.

სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლაში რეალურად გამოიყენება შემდგომი განვითარების პროცესში. სისტემური ანალიზი, შედეგების გათვალისწინება და მექანიზმების გაუმჯობესება სკოლის მუშაობის პრაქტიკაში მკაფიოდ იკვეთება. ანგარიში წარმოადგენს არამარტო აქტივობების ჩამონათვალს, არამედ შედეგების გააზრების საფუძველს, რაც სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- სკოლის შვიდწლიანი 2024-2030 სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; 2024-25 სასწ წელი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი **ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი (დანართი N12 ოქმი N23 10.01.24 დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე)** დეტალურად აღწერს სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სისტემას და მათ ფუნქციურ დანაწილებას, რაც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.

დოკუმენტში წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურული ორგანოების სქემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 35 - ე მუხლის მეორე პუნქტთან, რომლის მიხედვითაც „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს; პერსონალის სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია დასაქმებულთა უფლება–მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სტრუქტურული ერთეულები და პირები განსაზღვრულია მკაფიოდ, როგორც **ადმინისტრაციულ**, ასევე **პედაგოგიურ და ტექნიკურ დონეზე**.

გარდა ამისა, პროცესები არის რეგლამენტირებული, გამჭვირვალე და ეფუძნება პროფესიონალიზმის პრინციპებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დოკუმენტი ასახავს **დასაქმებულთა სტრუქტურულ ფუნქციონირებას, შეფასებას, განვითარებას და მოტივაციას** – რაც ეფექტური სკოლის ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა.

ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები, რომელიც გაფორმებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის წესების მიხედვით.

სკოლაში ვიზიტის დროს დირექტორთან გასაუბრებისას ჩანდა, რომ ორგანიზაციას გააზრებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია - მოვალეობები, აქვს შესაბამისი მტკიცებულებები (ხელშეკრულებების სახით და , რომელზეც დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ საკუთარი მოვალეობების ფარგლებში. ასევე ვებ გვერდზე არის ატვირთული სკოლის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისპბაშია ადამინური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტში არსებულ სტრუქტურასთან , რაც ადასტურებს ფუნქციები ნათლად და მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით ხორციელდება სასწავლო პროცესი შეუფერხებლად. სკოლის პერსონალის ფუნქცია მოვალეობები გადანაწილებული მათი კომპეტენციების ფარგლებში. სკოლის დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით და გაწერილია მოვალეობები ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში. არსებულ ჩანაწერთან არის შესაბამისობაში. სკოლაში ვიზიტის დროს და თანამშრომლებთან გასაუბრებისას ნათლად ჩანდა პასუხისმგებლობების სწორად განაწილება, რაც ხელშემწყობია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. თავის კომპეტენციის და მოვალეობების ფარგლებში ყველა სტრუქტურული რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესში;

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე (ოქმი N23; თარიღი: 10.01.2024)
- ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი დამტკიცებული ბრძანება N2-13 (19.02.2024წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ექიმის, ბიბლიოთეკარის შრომითი ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც თანხვედრაშია პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებთან და შრომის კოდექსთან. შრომითი ხელშეკრულება არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს. სკოლის მიერ მოწოდებულია ხელშეკრულებები, რომლებიც სკოლას გაფორმებული აქვს სხვადასხვა პერსონალთან: (დირექტორის მოადგილესთან, ბიბლიოთეკართან, საქმის მწარმოებელთან, ექიმთან, მასწავლებელთან და სხვა) ხელშეკრულება გაფორმებულია პერსონალთან კანონის დაცვით; შესაბამისი წესის დაცვით. სკოლას წარმოდგენილი აქვს გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი N2 (15.10.2024); ოქმის მიხედვით აპლიკანტის ვაკანტურ თანამდებობაზე აყვანა მოხდა შესაბამისი საკანონმდებლო წესის დაცვით;

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი **ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი** ნათლად აჩვენებს, რომ სკოლას აქვს ისეთი **მიმართულებები და მექანიზმები**, რომლებიც ემსახურება როგორც **პრევენციულ**, ასევე **ინტერვენციულ** პერსონალის მართვას, რომლებიც საჭიროებებზეა დაფუძნებული. დოკუმენტში განსაზღვრულია: შესაბამისობა **სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან, სკოლის შესაძლებლობებთან** (ფინანსური, მატერიალური. პერიოდული სამუშაოს ანალიზი (2–3 წელიწადში ერთხელ), ასევე ადამიანური რესურსების შეფასება ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა: კვალიფიკაცია, შრომისუნარიანობა, ჩართულობის და ინოვაციურობის დონე, დისციპლინა და მუშაობის სტილი. ეს კომპონენტები ქმნიან საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმს, რაც პრევენციული მენეჯმენტის ნაწილია.

დოკუმენტი მოიცავს: 1. **სოციალიზაციის პოლიტიკას** — ახალი თანამშრომლის კულტურულად და ორგანიზაციულად ადაპტაციის მხარდაჭერა (მენტორობა, მასალების გაცნობა, გარემოს მოწყობა).

2. **პროფესიული განვითარების პოლიტიკას** — როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგების ხელშეწყობა, თანამშრომლის უნარების

ფარული პოტენციალის გამოვლენა და განვითარების შესაძლებლობა.
ეს ნაწილი გულისხმობს თანამშრომლების წინასწარ მხარდაჭერას, რაც პრევენციული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში ასევე აღწერილია ინტერვენციული მექანიზმები: **კონკურსის წესები და პროცედურები** – როდესაც საჭირო ხდება ახალი კადრის მოზიდვა, დეტალურად გაწერილია კონკურსის ეტაპები, ღიაობა, ობიექტურობა და სამართლებრივი ჩარჩო. **შეფასება და რეაგირება** – თანამშრომლის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შესაბამისი ზომების მიღება. **საპრეტენზიო მექანიზმები** – გადაწყვეტილების გასაჩივრების კონკრეტული პროცედურები, რაც იცავს სისტემის სამართლიანობას და აკონტროლებს ინტერვენციების ხარისხს.

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული, როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული პოლიტიკა პერსონალის მართვის კუთხით, რის საფუძველზეც შეიძლება სკოლის პოლიტიკა შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია;

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლამ ინდიკატორის შესაფასებლად წარადგინა დოკუმენტი, რომელიც **ძირითადად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**. შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ასახავს პოზიციების შესატყვისი კადრების მოზიდვას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. დოკუმენტის **მუხლი 3** მკაფიოდ ასახავს კონკურსის ჩატარების ძირითად პრინციპებს: **ობიექტურობა** – სუბიექტური გადაწყვეტილებების გამორიცხვა; **გამჭვირვალობა** – კრიტერიუმების და პროცედურების სიწრფელე და საჯაროობა; **კოლეგიურობა** – კომისიური შერჩევის უზრუნველყოფა;
კორექტულობა – კეთილგანწყობილი და პატივისცემაზე დაფუძნებული მიდგომა კანდიდატებთან. დოკუმენტში გაწერილია როგორც **შიდა**, ისე **ღია კონკურსის** ეტაპები: განაცხადების მიღება, გადარჩევა, გასაუბრება და კომისიური შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ კონკურსის საფუძველზე შერჩევა ხდება **კვალიფიკაციის, პროფესიული უნარების და პიროვნული**

თვისებების მიხედვით; დოკუმენტში მითითებულია წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; განსაზღვრულია კომისიის მრავალკომპონენტიანი შემადგენლობა, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობას. დადგენილია კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურები, რაც ხელს უწყობს სამართლიანობას და გამჭვირვალობას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ, ნანახი იყო დასაქმებულთა პირადი საქმეები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დასაქმებულის პირადი საქმე იყო ძალიან მოწესრიგებული. ყველას ჰქონდა წარმოდგენილი სავალდებულო ცნობები (ცნობა ნასამართლების შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა). ინდიკატორის მოთხოვნები შესაბამისობაშია სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკასთან, რაც დოკუმენტის ანალიზით და ადგილზე დირექტორთან და სხვა უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკამყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, პერსონალის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება კანდიდატებს, რომელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება როგორც სახელმწიფო დადგენილ სტანდარტებს, ისე სკოლის შიდა მოთხოვნებს. სკოლა მასწავლებელთა კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21.11. N1014 ბრძანებით (შესაბამისი ცვლილებებით 2020წ. 30.06. N67/ნ). 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას, რაც ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ, ადგილზე დათვალიერებით დასტურდება. ყველა თანამშრომლის პირად საქმეში იყო სავალდებულო დოკუმენტაცია, იმის, მიხედვით, თუ რომელი წლიდანაა იგი დასაქმებული; ასევე სკოლაში დასაქმებული

პედაგოგების ხელშეკრულებები იყო კვალიფიკაციის შესაბამისი, სკოლას ჰყავს როგორც მენტორი, ისე წამყვანი და უფროსი მასწავლებელი.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა გუნდურობა, თანამშრომლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ გუნდური მუშაობის მაგალითი ის კოლეგიალური ორგანოები, როგორიცაა: პედსაბჭო, მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, ასევე კათედრები. შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა საკითხის განხილვა, შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება;

სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობის, ადამიანური და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტების თანახმად, სკოლაში დელეგირებულია უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და ყველა პირი, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა ასევე სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროსაც.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

შინაგანაწესის დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში **არსებობს წახალისების სისტემა**, რომელიც მიმართულია როგორც თანამშრომელთა, ისე მოსწავლეთა მიღწევებისა და წარმატების დაფასებაზე. თუმცა, წარმატებული გამოცდილების გაზიარების კონკრეტული მექანიზმები ნაკლებად არის გაწერილი. წარმატების აღიარების ფორმები გაწერილია (მუხლი 11 და 12): სკოლაში **დასაქმებულების წახალისება** ხდება შემდეგი ფორმებით: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქარი; ფულადი ჯილდო; დისციპლინური ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. თუმცა

დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ფულადი ჯილდო თითქმის არასდროს ჰქონია ბიუჯეტის გამო. რაც შეეხება **მოსწავლეების წახალისებას ის** მოიცავს: მადლობის გამოცხადებას; სიგელით დაჯილდოებას; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებას. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე იძებნება სხვადასხვა ტიპის წახალისების ფოტო და ვიდეო მასალა. წახალისების გადაწყვეტილებები ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც პროცესს ანიჭებს ოფიციალურობასა და გამჭვირვალობას.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სასურველია შინაგანაწესში სკოლამ გაწეროს წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისთვის შესაბამისი მექანიზმები — ანუ როგორ ხდება დასახელებული წარმატების სხვებისთვის გადაცემა (მაგ., პედაგოგიური საბჭოზე წარმოდგენა, მენტორობა, სემინარები და სხვა); ასევე მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატების საჯარო გაზიარების მექანიზმი;*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-288; თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;(დანართი 18)
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები - მენტორ, წამყვან და უფროს მასწავლებლებთან დადებული;
- თანამშრომლების პირადი საქმეები;
- ოქმი N 2 -(15.10.2024წ) სამოქალქო განათლების მასწავლებლის კონკურსის წესით აყვანაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი და შინაგანაწესი ადასტურებენ, რომ სკოლას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული მექანიზმები პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენისთვის.

პერსონალის შეფასების მექანიზმებთან დაკაცშირებით ინფორმაცია არის მითითებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში, რომ სკოლა რეგულარულად ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმებით: კვალიფიკაცია და კომპეტენციები, სამუშაოს ხარისხი, პროფესიული მოტივაცია, ინოვაციურობა, ჩართულობის დონე, დისციპლინა და თანამშრომლობა.
აღსანიშნავია, რომ შეფასება დაკავშირებულია წახალისებასთან და პროფესიულ ზრდასთან, რაც წახალისების მექანიზმებითაც დასტურდება (ფულადი ჯილდო, სიგელები, მადლობები და სხვ.).

შინაგანაწესში, შეფასების სისტემის ნაწილი აისახება დისციპლინისა და წახალისების პარალელური მექანიზმებით — რაც უზრუნველყოფს თანამშრომლის ქცევისა და საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს.

რაც შეეხება პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას **ადამიანური რესურსების დოკუმენტში** საგულისხმოა შემდეგი კომპონენტები:

- რეგულარული სამუშაოს ანალიზი (2–3 წელიწადში ერთხელ)

- საჭიროებების შეფასება დირექტორისა და ადმინისტრაციის მიერ
- თანამშრომელთა სოციალურ ინტეგრაციასა და ადაპტაციაზე ზრუნვა
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა შიდა და გარე ტრენინგებით, სემინარებით, მასტერკლასებით

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განვითარება ემყარება **პერსონალის უნარების შეფასებასა და მოთხოვნების იდენტიფიკაციას**, რაც ნიშნავს, რომ სკოლას აქვს *საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა.* სკოლა სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს: აქვს ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებული შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებს; პერიოდულად ახდენს პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და რეაგირებს ტრენინგებით, ადაპტაციითა და განვითარებით; შედეგად, ინდიკატორი შესრულებულია და დადასტურებულია ორ დოკუმენტში ასახული პრაქტიკით.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (დანართი N75, N12 და N14) შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება; ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება მოწმობს, რომ სკოლას ჰყავს ჯგუფი, რომელიც აიდენტიფიცირებს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს მხარდაჭერის ღონისძიებებს (ტრენინგები, კოლეგიალური განხილვები). ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებისა და საჭიროებების საფუძველზე განვითარებას. განსაზღვრავს წახალისების მექანიზმებს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს პროფესიულ წინსვლას. სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს პერსონალის მიზნობრივ განვითარებას.მაგ: პედაგოგების პროფესიული განვითარების კუთხით სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ დადგენილი მოთხოვნებით. სკოლაში ვიზიტის დროს დირექციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლის ხარისხის

მართვის ჯგუფი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აჯამებს გაწეული მუშაობის შედეგს და შესაბამისად გეგმავს მომავალი წლისთვის განსახორციელებელ აქტივობებს. მასწავლებლებს ინდივიდუალურად ეძლევათ უკუკავშირი და აქვთ შესაძლებლობა საკუთარი პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმონ პროფესიული ზრდისთვის საჭირო აქტივობები, ამისთვის შეიძლება თვით სკოლაში მოხდეს კოლეგებთან შეხვედრების დროს გაზიარებით პრაქტიკის გაუმჯობესება, ასევე სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ დადგენილი მოთხოვნებით. ასევე ყოველწლიურად პედაგოგები ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებს. ასევე სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობები: ტრენიგები, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სასურველია სკოლამ წარმოადგინოს პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები გეგმის მიხედვით, რომელიც შედგენილი იქნება კონკრეტული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; სასურველია განსაზღვრული იყოს - მიზნები და პრიორიტეტები; ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები, მონიტორინგისა და შედეგების შეფასების ფორმები;*

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ადამიანური რესუსრსების მართვა (დანართი 12) - ადამიანური რესურსების განვითარებაში მოიაზრება ორგანიზაციული, ჯგუფური, ინდივიდუალური სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა ახალი კვალიფიკაციის, ცოდნის შეძენის და გამოყენების უნარის განვითარება, ასევე გამოუყენებელი და ფარული უნარების გამოვლენის ხელშეწყობა. პროფესიული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს:

➢ სტრატეგიული გეგმის საჭიროებები

➢ გარემოში არსებული ცვლილებები (ტექნოლოგიური, საკანონმდებლო) და სხვა

➢ ორგანიზაციული შედეგები (შეფასების შედეგები კადრები დენადობა)

➢ თანამშრომელთა ინდივიდუალური, პროფესიული საჭიროებები და ინიციატივები

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია სკოლის სტრატეგიული გეგმის ნაწილია და ემსახურება სკოლის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. ადამიანების განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია სკოლის განვითარების მთავარი ფაქტორია. პროფესიული განვითარების ფორმა შეიძლება იყოს:

ა. შიდა - სკოლის ბაზაზე

ბ. გარე - სასწავლო დაწესებულებებში და სპეციალურ სასწავლო ცენტრებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის ინიციატივით ბიბლიოთეკარმა გაიარა ტრენიგი პროფესიული მიმართულებით.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის მიერ წარმოდგენილია ბრძანება N 2-288, თანამშრომელთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ; ნათლადაა ჩამოყალიბებული, გააზრებული, რომ ფორმალური სოციალიზაციის პროგრამით სკოლა/დირექტორი ზრუნავს მთლიანად სკოლაზე, თითოეული თანამშრომლის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კომფორტზე და იცავს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების დ პერსონალის ინტერესებს. დოკუმენტში გაწერილია პუნქტობრივად ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის პროცედურები;

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგების პროფესიულ ზრდას. აღნიშნული მხარდაჭერა ასახულია როგორც **შინაგანაწესის შესაბამის პუნქტში**, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. პედაგოგების ინიციატივით დაწყებული პროფესიული განვითარების პროცესები სხვადასხვა ფორმით **წახალისებულია**. მაგალითად, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სკოლამ უზრუნველყო ტრენინგის **თანადაფინანსება**, ასევე **სხვა სკოლებთან**

სამუშაო შეხვედრისთვის ფართის გამოყოფა და **დროითი მხარდაჭერა**, რათა მასწავლებლებს არ შექმნოდათ დაბრკოლება თავიანთ განვითარებაზე ზრუნვისას.

გარდა ამისა, პროფესიულ ტრენინგებში მონაწილე მასწავლებლების დასწრების ხელშეწყობა სკოლაში ხდება **გაკვეთილების ცხრილის მოქნილი გადანაწილებით ან მასწავლებლების ჩანაცვლებით**, რაც აჩვენებს, რომ სკოლა სისტემურად უდგება პერსონალის თვითგანვითარების მხარდაჭერას. პედაგოგები ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში, რაც სკოლის მხრიდან წახალისებულია, გასაუბრების დროს ასევე დირექტორის მიერ აღინიშნა, რომ ის ყოველთვის მზად არის პედაგოგების მხრიდან წამოწეული ინიციატივების განხილვისთვის.

აღწერილი ფაქტები ნათლად ადასტურებს, რომ **სკოლა აფასებს და წახალისებს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ პერსონალურ ინიციატივებს**, რაც სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 75 - ბრძანება N1/კ-52 სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- დანართი N12 - ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- დანართი N14 - შინაგანაწესი;
- წერილი მასწ. სახლში ტრენინგის მოთხოვნასთან დაკავშირებით; (10.092024წ)
- ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებული ონლაინ ტრენინგის შესახებ წერილი თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლის ბიბლიოთეკარებისათვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

[redacted] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბრძანებით პროფესიული განვითარების წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლების ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება. დოკუმენტის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი მიზანია: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, მასწავლებელთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

2024-2025 ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია ერთ-ერთ მიზანი სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, რომლის დაგეგმვისას გაწერილია კონკრეტულად ვის მიერ ხორციელდება ესა თუ ის აქტივობა დროის გარკვეულ პერიოდში.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სასურველია, სკოლამ განიხილოს ერთიანი დოკუმენტის შექმნა, სადაც სისტემატურად იქნება გაერთიანებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პოლიტიკა, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პროცესების მართვას და გაზრდის სისტემის გამჭვირვალობას.*

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, შინაგანაწესში, ხელშეკრულებებში, ბრძანებებში. განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. ასევე სამოქმედო გეგმაში ჩანს, კონკრეტულ საქმეზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში ,,ზოგადი განათლების კანონით "რეგულირდება მიმდინარე პროცესები. სკოლას გააჩნია დოკუმენტური ბაზა, სადაც ასახულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამასთან, სკოლას შეუძლია განიხილოს შესაძლო განვითარება იმ მიმართულებით, რომ სტრუქტურირებულად, ერთ დოკუმენტში გააერთიანოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები — რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პროცესების მონიტორინგს და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს.

დოკუმენტების შესწავლით დგინდება ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობა;

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სასურველია სკოლამ ერთ დოკუმენტში გააერთიანოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები — რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პროცესების მონიტორინგს და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს.*

2. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში ვიზიტის დროს დირექტორთან გასაუბრებისას და სკოლის თვითშეფასების შესაბამისად სკოლაში შემოსული საჩივრების განხილვა ხდება სკოლის სტრუქტურული ერთეულის - დისციპლინური კომიტეტის მიერ. დისციპლინური კომიტეტი მასწავლებელთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ და სკოლის შინაგანაწესით. საჩივარი რეგისტრაციის შემდეგ, შემდგომი მოკვლევისათვის გადაეცემა დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც იხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას სკოლის შინაგანაწესიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ პროცედურას გადის მოსწავლეების/კანონიერ წარმომადგენლების მიერ შემოტანილი საჩივარი. დისციპლინური კომიტეტის

გადაწყვეტილების შესახებ ოქმი გადაეცემა სკოლის დირექტორს, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში. სკოლის მიერ წარმოდგენილია დისციპლინარული საბჭოს ოქმი N3 (14.03. 2024წ); საბჭოს შეკრების აუცილებლობა დადგა ბულინგის გამო.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკამყოფილებულია.

3. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში ფუნქციონირებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია როგორც **შინაგანაწესში**, ასევე სკოლის **ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქცევის წესების და აპელაციის მექანიზმების სახით**. მანდატურის სამსახურის ორი წარმომადგენელი უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და სამართლებრივი ჩარჩოს დაცვას. 112-ის ნომერი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია დაცული და სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებული გარემო.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N14 - სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი N24; დისციპლინარული კომიტეტის ოქმი N3 წარმოებულ საქმიანობაზე;
- დანართი N 75 ხარისხის ჯგუფის დებულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას ჩამოყალიბებული აქვს **სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მრავალარხიანი მექანიზმი**.

ინფორმირების ერთ-ერთ მთავარ არხად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელ **Facebook-ს** — ოფიციალურ სკოლის ჯგუფში სისტემატურად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გარდა ამისა, ყველა კლასის დამრიგებელს გააჩნია დახურული ჯგუფი, რომელშიც კონკრეტული კლასის მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის, ღონისძიებებისა და სასწრაფო საკითხების შესახებ ინფორმაცია.

საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა ასევე იყენებს: **სკოლის ვებსაიტს, ელექტრონულ ფოსტას, საინფორმაციო დაფას**, რომელიც სკოლის ფოიეშია განთავსებული, **ელექტრონულ ჟურნალს (e-school),** რომელიც მშობლებს შვილების აკადემიური მიღწევების თვალსაზრისით დროულად აცნობებს
სკოლა არა მხოლოდ აწვდიდა ინფორმაციას, არამედ სისტემურად **იღებდა და ასახავდა უკუკავშირს**, რაც გამოიხატებოდა შემდეგში.

მშობლებთან და საზოგადოებასთან ჩატარებული შეხვედრების შემდეგ, **შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით**, განახლდა ზოგიერთი სასწავლო კურიკულუმი — რაც პირდაპირ მიუთითებს რეაგირების მექანიზმზე;

სკოლის ფეისბუქ ჯგუფში და მშობელთა ჯგუფებში მიღებულ კომენტარებსა და გზავნილებს ადმინისტრაცია იყენებს **პრობლემებზე დროულად რეაგირებისთვის** (მაგ., ცხრილის კორექტირებებზე, ექსკურსიების დაგეგმვაზე, საკლასო გარემოს გაუმჯობესებაზე);

სკოლის ადმინისტრაცია ხშირად იყენებს **Google Forms-ის ტიპის ონლაინ კითხვარებს** მოსწავლეთა, მშობლების ან პედაგოგების აზრის გასაგებად — მათ შედეგებზე რეაგირება აისახება გადაწყვეტილებებსა და გეგმებში;

უკუკავშირის ერთ-ერთი ფორმაა **საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე** თანამშრომლებისგან მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები, ბრძანებები ასევე სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი. აღნიშნული კოლეგიალური ორგანოების არსებობა, რომელშიც ჩართულები არიან სასკოლო საზოგადოების წევრები ადასტურებს მათ სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის Facebook გვერდი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- თვითმმართველობის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დარაჯი. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით, შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოკამერები (ჯამში 62; აქედან გარე ხედვის 26, ხოლო შიდა ხედვის 36) თვითშეფასებაში მოცემული აღწერილობის მიხედვით საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი არის საგნის მასწავლებელი, შესვენების დროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მორიგე მასწავლებელი (სკოლას წინასწარ აქვს შემუშავებული მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი)

სკოლაში დაცულია შრომის უსაფრთხოება, შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციას ასრულებს მტუკ-ი, **სკოლას ცალკე გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.** მტუკ-ი ვალდებულია ყოველდღიურ რეჟიმში სამუშაო დღის დასაწყისში და ბოლოს ჩაატაროს შენობის და მთელი ინფრასტრუქტურის სათანადო დათვალიერება და შეამოწმოს უსაფრთხოება და პრობლემის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება ან აცნობოს სკოლის დირექციას.

სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით N2.301 და შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბრძანება თარიღდება 17.11.2023წ-ით, შესაბამისად რეაბილიტაციის შემდეგ საჭიროა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის განახლება .

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, თუმცა **არცერთი საევაკუაციო გეგმა არ შეესაბამება რეალობას** (რეაბილიტაციამდე მდგომარეობით) , საჭიროა ყველას განახლება.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართულობასთან დაკავშირებით დირექტორის სახელზე შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელიც თარიღდება 02.04.2025. აღნიშნული წერილის შესაბამისად **სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.**

სკოლა შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმებით (აკრძალული ნივთების ჩამონათვალი, სკოლაში უცხო პირთა შემოსვლის შეზღუდვა და ა.შ.), უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა არის მოძველებული, რომელიც თარიღდება 05.01.2024 წ-ით. ამის შემდგომ სკოლაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და ამჟამად სკოლა არის რებილიტირებული და არსებული **შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი.** ზემოთ აღწერილი გარემოებები ვერ ადასტურებს ინდიკატორის შესაბამისობას.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით წარმოადგინა დანართი 3 - წერილი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. აღსანიშნავია, რომ სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის თარიღად განსაზღვრა 08.08. 2026 წ, რის გამოც ინიდიკატორის შეფასება მეტწილად შესაბამისია.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შეესაბამება

რჩევა: *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს წარმოადგინოს ფიზიკური უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მეთოდოლოგია..*

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. დათვალიერების დროს სკოლას მიეცა რჩევა ექსპერტების მიერ, რომ მომხდარიყო შირმით ან სხვა მსგავსი საშუალებით მომხდარიყო პაციენტის მოსასვენებლის იზოლირება. მინდა აღვნიშნო, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და მოაწყო სამედიცინო კაბინეტში იზოლირებული სივრცე. ასევე, სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექიმი, რომლის კვალიფიკაცია კანონის შესაბამისია და იგი არის პედიატრი; სკოლის მიერ წარმოდგენილია ექიმის ხელშეკრულება, რომელიც სრულად კანონის შესაბამისია

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას განსაზღვრული აქვს სართულებზე მორიგეობის გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ წესრიგს. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით“.

სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს ოქმი N35 (4.11.2024წ) , ოქმში ასახულია დისციპლინარული კომიტეტის არჩევის საკითხი. დისციპლინარული კომიტეტი სკოლაში არის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო სივრცეში დისციპლინის დაცვას, კონფლიქტების და გადაცდომების რეგულირებას და სამართლიანი გარემოს შენარჩუნებას. მისი

ფუნქციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილი გარემოებების შესაბამისად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას (ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, რომელიც შენობის შემოსასვლელშია) გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, სკოლის მანდატურის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის, ასევე მონიტორინგის სამსახურის ნომერი. სკოლაში გამოყოფილია პატარა ოთახის შეხვედრებისთვის, რომელიც განკუთვნილია სოც მუშაკისთვის. სკოლა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხევაში. კერძოდ, სკოლაში მყოფი სოც მუშაკი პერიოდულად ატარებს შეხვედრებს , ავრცელებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებაში, რომ მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქო-სოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. ასევე სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში ვიზიტის დროს, ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია გამიჯნულია სველი წერტილები ბიჭებისთვის და გოგონებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი არის ყველა სართულზე. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა).გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი. ეზოს

შეგროვილი ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური; სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ბრძანება **N2-300** პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. აღნიშნულით დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მატერიალური თუ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების შემთხვევაში, ვიდეო თვალთვალის განხორციელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მონაცემების დაცვის წესი შენობაში შესვლისა და გასვლის დროს მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული ფოსტისა, თუ ტელეფონის ნომრის გამოყენების დროს, ასევე განსაზღვრულია მონაცემების დაცვის წესი პირადი საქმეებისა თუ ელექტრონული ბაზების წარმოების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ,,ზოგადი განათლების შესახებ' საქართველოს კანონის 43-ე პუნქტის მე-2 მუხლის შესაბამისად ბრძანება N2-298 - ინფორმაციის დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმის დამტკიცების შესახებ; დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი - პერსონალური მონაცემების დაცვა ელ. ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, ელ ფოსტის და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, პირადი საქმეების წარმოებისას და სხვა;

ინდიკატორი 3.4.1.6.დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სკოლამ დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი „პერსონალურ მონაცეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 33) შესაბამისად;*

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა თანამშრომლობს მართვის საინფორმაციო სისტემასთან და იყენებს მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, კონკრეტული საგნის მასწავლებლებს. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობებს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოქმედებს ეფექტური მექანიზმები, რომელთა ფუნქციონირების მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს პერიოდულად.

მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ყოველდღიურად აკვირდებიან სკოლაში უსაფრთხოების მდგომარეობას და ახორციელებენ პრევენციულ მოქმედებებს.

დირექცია მუდმივ კავშირშია როგორც მანდატურებთან, ასევე ტექნიკურ პერსონალთან, რაც ხელს უწყობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების დროულ გამოვლენასა და გადაჭრას.

სკოლაში დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა, მშობლებისა და პერსონალის უკუკავშირით განისაზღვრა საჭიროებები და განხორციელდა შესაბამისი გაუმჯობესებები (მაგ., ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სივრცის ხელმისაწვდომობა).

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (112, ქცევის წესები და სხვა) განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებში. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და რეაგირებს მიღებულ შედეგებზე.

ინდიკატორი 3.4.1.8 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-298 - ინფორმაციის დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმის დამტკიცების შესახებ (16.11.2023); დანართი N35;
- ბრძანება N2-300; - პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ (17. 11. 2023);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, სკოლას უსასყიდლო სარგებლობის უფლებით სახელმწიფოსაგან გადაცემული აქვს 5274.00 კვ.მ. მიწის ფართობი და მასზე განთავსებული N1,N2,N3,N4 შენობა-ნაგებობები. სკოლის ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებულია, სკოლა საკუთარ შენობაში დაბრუნდა 2025 წლის იანვრიდან. სკოლაში დამონტაჟებულია 26 გარე კამერა, სულ 62 კამერა. შენობაში არის სულ 19 საკლასო ოთახი, ყველა კლასში არის კომპიუტერი ან ლეპტოპი, საკლასო ოთახებში აღჭურვილია პროექტორებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი (2018 წ შპს. ,,მამული" მიერ გაკეთებული) შენობის დათვალიერებისას და შემდგომ ნახაზთან შედარებით დგინდება, რომ ნახაზი არის ძველი და რეაბილიტაციის შემდეგ საკლასო ოთახების, ან სხვა დანიშნულების ოთახების განლაგება შეცვლილია. ნახაზის მიხედვით სკოლის შენობაში არის 22 საკლასო ოთახი, ხოლო დათვალიერებისას სკოლაში ლაბორატორიების ჩათვლით, სადაც კონკრეტული კლასის ოთახია, (მოძრავი ცხრილი აქვს სკოლას) არის 19 საკლასო ოთახი. ვიზიტის დროს დირექტორთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა იმუშავებს 2 ცვლაში და იქნება მოძრავი ცხრილი, ასეთ შემთხვევაში სკოლა შეძლებს არსებული მატერიალური რესურსით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას. პირველ სართულზე შენობის შესასვლელში არის პანდუსი. სკოლას აქვს 1-ელ სართულზე რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი, იქვე არის გოგონების და ბიჭების გასახდელი ოთახები. პირველ სართულზე არის ბიბლიოთეკა, რომელთანაც გაერთიანებულია სააქტო დარბაზი, გაყოფილია

სამკითხველო სივრცე, ხოლო საერთო სივრცის დიდი ნაწილი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებებისთვის. სააქტო დარბაზში განთავსებულია სკამები, გამოყოფილია სცენის ადგილი. სკოლას აქვს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებითა და ლეპტოპით სულ 29 მოსწავლეზე გათვლილი, დამონტაჟებულია პროექტორი და ეკრანი. სკოლას აქვს ცალ-ცალკე გამოყოფილი ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიები. თითოეული სივრცე ორ ნაწილად არის გაყოფილი, სადაც ინახება ლაბორატორიული აღჭურვილობა და არის მცირე ჯგუფის მუშაობისთვის მაგიდა და სკამები, ამ სივრცეში არის დამონტაჟებული სავენტილაციო სისტემა ე.წ. გამწოვები; ლაბორატორიისთვის გამოყოფილ საკლასო სივრცეში არის 3-3 წყლის ონკანი. საკლასო ოთახები არის ნათელი, უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, არ საჭიროებს დამატებით განათებს, (დამატებითი განათება საჭიროა მხოლოდ მეორე ცვლაში); სკოლა აწარმოებს პერიოდულობით ინვენტარიზაციას, წარმოდგენილია ბრძანება N2-267 (18.11.2024წ) სკოლაში სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესახებ;

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

რჩევა: 1. *სასურველია აზომვითი ნახაზის განახლება რეაბილიტაციის შემდგომი არსებული რელობის გათვალისწინებით;*

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეები და თანამშრომლები სარგებლობენ კომპიუტერული ლაბორატორიით, ინტერნეტით, ლეპტოპებით, პროექტორებითა და საოფისე ტექნიკით. საერთო სარგებლობის სივრცეები – დერეფნები, სპორტული მოედანი და

კეთილმოწყობილი ეზო – უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას, დასვენებასა და გარე აქტივობების ჩატარებას. ინფრასტრუქტურა ემსახურება როგორც სასწავლო პროცესს, ისე მოსწავლეთა და თანამშრომელთა კეთილდღეობას.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და მეთოდურ სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკას აქვს პატარა სამკითხველო სივრცე, ხშირად სხვადასხვა საგნის პედაგოგი იყენებს ბიბლიოთეკას ჯგუფური მუშაობებისთვის, ასევე პრეზენტაციებისთვის და სხვადასხვა ღონისძიებების დასაგეგმადაც. ბიბლიოთეკაში არისებული წიგნები დანომრილია, აღრიცხულია, როგორც ელექტრონულად ისე ფიზიკურად გატარებულია შესაბამისი ნუმერაციით ჟურნალში, რომლებიც ერთმანეთთან შესაბამისობაშია. წიგნებს არ ჰქონდა ფორმულარები, რაც ადგილზევე ვიზიტის დროს იქნა მითითებული და ბიბლიოთეკარმა დაიწყო კეთება; შენობის პირველ სართულზე არის წიგნთსაცავი. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში გამოკრულია საინფორმაციო ფორმატით სამუშაო საათების შესახებ ინფორმაცია და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, ე.წ. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფიელბულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას პირველ სართულზე აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. ყველა სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები, პირველ სართულზე შესასვლელში არის პანდუსი და ლიფტი, რაც უზრუნველყოფს შშმ და სსსმ მოსწავლის ყველა რესურსით სარგებლობას (ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ეზო).

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ ლიფტის ექსპლუატაციის მდგომარეობა. დირექტორის ინფორმაციით, რეაბილიტაციის შემდეგ ობიექტის ჩაბარებისას კომპანიას ჯერ კიდევ არ გადაუცია ლიფტის გასაღები სკოლის ადმინისტრაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის სკოლაში შშმ პირი არ ირიცხება, ინფრასტრუქტურული ელემენტების სრულფასოვანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანი რჩება როგორც ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად, ასევე სკოლის საერთო ფუნქციურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სკოლამ დამატებით შეისწავლოს ქალაქში მოქმედი ლიფტის მომსახურების კომპანიები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიფტის გამართული ფუნქციონირება და მომსახურების ხელმისაწვდომობა.*

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შექმნას სოციო-კულტურული სივრცე. სკოლას აქვს დაცული, კეთილმოწყობილი შიდა ეზო და ღია სპორტული მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა აქტივობები. ასევე აქტიურად იყენებს სპორტულ დარბაზს, სადაც იმართება სპორტული ღონისძიებები. სააქტო დარბაზში აწყობენ კულტურულ ღონისძიებებს. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში იმართება პროექტების პრეზენტაციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, კინო ჩვენებები. სკოლის სხვადასხვა სივრცეში ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N38 -- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- დანართი N39 - სკოლის შენობის ნახაზები;

- დანართი N40-- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ.
- ბრძანება N 2-277 (8.11.2023წ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ვიზიტის დროს შენობის დათვალიერებისას და სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ადმინისტრაციული პროცესების წარმართვისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, eschool-სა და eflow-ს. აქვს უწყვეტი ინტერნეტ ქსელი. სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა, რომელშიც გაწერილია სკოლის ტექნოლოგიური განვითარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროცესი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლა აქვს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, კლასების უმეტესობაში არის კომპიუტერი, პროექტორი და ეკრანი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა აღჭურვილია ინფორმაციული ინფრასტრუქტურით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრული

იყო სარგებლობის წესი და ასევე განრიგი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება სკოლის საჭიროებებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სასურველია სკოლამ წარმოადგინოს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმის განახლებული ვერსია (2024-25 წლის) , რომელიც დამტკიცებული იქნება დირექტორის ბრძანებით.*

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალის საჭიროებებს. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ინტერნეტზე წვდომა აქვს ყველა სამუშაო კომპიუტერს, ხოლო რესურსზე წვდომა **მოზომილად რეგულირდება ლაბორატორიაში გამოკრული განრიგის შესაბამისად**.
არასაგაკვეთილო დროს ლაბორატორიის გამოყენება ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისთვისაც.

გარდა ამისა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა განვითარებულია ბიბლიოთეკაშიც, სადაც განთავსებულია **10 ლეპტოპი**. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია **წესების დოკუმენტი**, რომელიც განსაზღვრავს სარგებლობის პირობებს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტექნოლოგიებზე წვდომა ხდება **წესრიგისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპით**.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

რჩევა: *სასურველია, სკოლამ არსებული პრაქტიკა — ტექნოლოგიური რესურსების სარგებლობის განრიგი და წესი — სისტემატიზებული სახით გააერთიანოს ერთ დოკუმენტში, მაგ მატერიელური რესურსებით სარგებლობის წესის სახით;*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა;
- ფოტო მასალა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ბრძანება N2-280, რომელიც ამტკიცებს გორის N12 სკოლის საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის წარმოების შესახებ ინფორმაციას. მოცემულ დოკუმენტში დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია დოკუმენტაციის დახარისხების, აღრიცხვის, შემოსული და გასული კორესპონდენციის და სხვა მნიშვნელოვანი მუხლები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეოს, საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eFlow - ს საშუალებით. ვიზიტის დროს შერჩევითი პრინციპით ექსპერტების მიერ გადამოწმდა შემოსული და გასული წერილები, რამდენად იყო წესის შესაბამისად. საქმისმწარმოებელი მატერიალური სახით შესაბამის ჟურნალებში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლაში შემოსული დოკუმენტი შესაბამის ჟურნალში დარეგისტრირების შემდეგ გადაეცემა შესაბამის ადრესატს. ასევე საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს მოსწავლის პირადი საქმეების წარმოების მონიტორინგს, რომ მასში კანონით დადგენილი დოკუმენტაცია დამრიგებლების მხრიდან სრულად და დროულად იყოს ასახული. საქმისმწარმოებელი სკოლის ხელმძღვანელს წარუდგენს მატერიალური სახით შემოსულ განცხადებას/კორესპონდენციას, რომელსაც რეზოლუციას ადებს სკოლის დირექტორი და საქმის მსვლელობისათვის გადასცემს საქმისმწარმოებელს.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას, ვებგვერდს, სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება - სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო eschool.emis.ge - ის პლატფორმაზე. მასზე სრული წვდომა აქვთ სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს და დირექტორის მოადგილეს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ყველა მასწავლებელს ბაზაში აქვს საკუთარი პირადი პროფილი; სკოლის დირექტორი მონიტორინგს უწევს ბაზაში ასახულ ინფორმაციის სიზუსტეს და სხვა.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის დირექტორთან და საქმისმწრმოებელთან ერთად Eschool-ის ბაზებისა და eFlow-ს დოკუმენტების დათვალიერებისას და შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული შემოსული წერილებზე რეაგირების, მოსწავლეთა მობილობის განაცხადებზე რეაგირების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ წერილები წაკითხულია და სტატუსი (გავეცანი, შევასრულე) მინიჭებული აქვს ადრესატის მიერ, რეაგირება/პასუხი განხორციელებულია ვადების დაცვით რაც ეფექტურ უკუკავშირის და თანამშრომლობის დამადასტურებელია.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-280 (9.11.2023 წ) საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუციის წარმოების შესახებ;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი https://bit.ly/4k3ULeD და სოციალური ქსელის გვერდი facebook.com/gorismetormeteskola , ორივე ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; ასევე სხადასხვა კლასებს აქვთ დახურული მესენჯერ ჯგუფები, რომლებსაც იყენებენ მშობლებთან საკომუნიკაციოდ;

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია;

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა მისი საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარ ინფორმაციას ავრცელებს ვებ-გვერდის და Facevook გვერდის საშუალებით. სოციალურ ქსელში უფრო მეტად ხდება სასწავლო ღონისძიებების ფოტო და ვიდეო მასალის გაზიარება

სოციალური ქსელით შემოსულ ინფორმაციაზე, წერილზე, პოსტის კომენტარზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას, მისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო, ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას ან/და მათგან ინფორმაციის მიწოდებას/დაზუსტებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. ინფორმაციის სანდოობა გადამოწმდა დოკუმენტაციასთან და დგინდება შესაბამისობა.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია;

3. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რადგან სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი https://bit.ly/4k3ULeD და სოციალური ქსელის გვერდი facebook.com/gorismetormeteskola , ორივე ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა

დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელის გვერდზე ატვირთულია სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეები და აქტივობები. პირველკლასელთა მიღების წესი სხვადასხვა ფორმით არის გასაჯაროებული, რათა მეტი ყურადღება მიექციათ მშობლებს. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, მაგალითად, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი/მექანიზმი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ტიპის ინფორმაცია, ატვირთულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. შესაბამისად ინდიკატორის შესაბამისობა დასტურდება;

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი https://bit.ly/4k3ULeD ;
- სკოლის ფეისბუკ გვერდი http://w.facebook.com/gorismetormeteskola ;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი დამტკიცებული ბრძანება N2-59 (21. 03. 2025 წ);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დირექციასთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის შესწავლისას, როგორიცაა **„ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით ბრძანება N 1კ/83ა თარიღი 5.09.2024 ასევე** ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სკოლამ განიხილა პედაგოგიურ საბჭოზე **(პედსაბჭოს სხდომის ოქმი N3 - 24.12.2024წ)** და **სამეურვეო საბჭოს ოქმები ადასტურებს,** რომ სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ამ ეტაპზე სკოლას აქვს ფინანსური რესურსები, რათა განახორციელოს დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლას აქვს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან (იჯარა) კვების ობიექტთან დაკავშირებით, ასევე აქვს შემოსავლები ვაუჩერული დაფინანსებით, რაც აძლევს საშუალებას შეიძინოს აუცილებელი რესურსები, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში; 2024 წლის შემოსავალი და ხარჯები წარმოდგენილია 10 დეკემბრის მდგომარეობით. ბიუჯეტში შეტანილია შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტში აღწერილი ხარჯები მოწმობს, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად იხარჯება;

წლიური ანგარიშგების წარდგენამდე ხორციელდება სკოლაში არსებული ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის ინვენტარიზაცია. ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ, კომისიის მიერ ხდება ძირითადი და მცირე ფასიანი ინვენტარის აღწერა, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერიას, ბუღალტრის მიერ ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა, მიღებული შედეგები

აისახება წლიურ ბალანსში. ზემოთ აღწერილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლის ფინანასური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა საპროგნოზო ბიუჯეტს, რომლის შემუშავებისთვის სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, შემუშავებული პროექტის განხილვა მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე. ცხადია შეუძლებელი იქნებოდა ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რომელიც ზემოქმედებას მოახდენდა დაგეგმილ ბიუჯეტზე. ამდენად ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია და აღსანიშნავია, რომ ცვლილებები წარდგენილი იქნა სამეურვეო საბჭოს ოქმის დღის წესრიგში. საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ არის გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები, თუმცა, სასურველია, მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი ინტენსიურად მიმდინარეობდეს.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად უნდა დაგეგმოს შემდგომი აქტივობები, ანუ სათანადო რეაგირება მოხდინოს შეფასების შედეგებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა დადასტურდეს, რომ სკოლას აქვს ფინანსური მართვის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფიბულია;

რჩევა: *სასურველია, სკოლის შიდა რეგულაციით წინასწარ იყოს შემუშავებული ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის წესი და პროცედურები. დადგინდეს ბიუჯეტში ცვლილების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირების ვინაობა, ცვლილების განხორციელების ვადები და სხვა.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 1კ/83ა თარიღი 5.09.2024
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N3 - 24.12.2024წ;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი N 38 - 25.12.2024წ; (2025 სასწ. წლის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 44 - 19.05.2025წ (ბიუჯეტში ცვლილებების შტანის განხილვა)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025წ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგაირიში;
- იჯარის ხელშეკრულება კვების ობიექტთან; (17. 03.2025წ)

- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დასტურდება „სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის 2024 წლის 20 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით N33 –„შინაგაწესის დამტკიცება“. სკოლის შინაგანაწესი შეიცავს და განსაზღვრავს ზოგად დებულებას, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაოს დაწყების და დამთავრების დროს, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს, შრომითი ანაზღაურების გაცემის წესს, შვებულების გაცემის და ხანგრძლივობის წესს, შრომითი პირობების

დაცვის წესს, დასაქმებულის და მოსწავლის წახალისების წესს, დისციპლინური დევნის და პასუხისმგებლობის სახეებს დასაქმებულის/მოსწავლის, დისციპლინური სახეების დაკისრების წესს, სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს, დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადების და საჩივრის განხილვის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, სკოლაში ჩაცმულობის წესს, მობილური ტელეფონის გამოყენების წესს. აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“. მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები გაწერილია მოსწავლის /მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში, იგი შეიცავს და განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სკოლის უფლებებს, მშობლის/წარმომადგენლის ვალდებულებებს, მოსწავლის უფლებამოსილებას, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, აგრეთვე შეიცავს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტის და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის, დამატებითი პირობების შინაგანაწესის გაცნობას. სკოლაში ადგილზე შემოწმებით, აღნიშნული ხელშეკრულება დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა რეკვიზიტებს. აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „გასაჩივრების წესი“, რომელშიც არის გაწერილი მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, წარმოდგენილია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი, აქვე არის მოცემული სკოლის შინაგანაწესის ის მუხლები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე და სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების რეგულაციებს. ამ დოკუმენტის მიხედვით სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა. ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოვლენის და მათი კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოვლენის, მათი კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის ბრძანებით N2-12 დამტკიცებულია

შიდა ინსტრუქცია ძალადობის შემთხვევებზე — „ბავშვების მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს რეგულირების სფეროს, სამართლებრივ საფუძვლებს, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ასევე სკოლის უფლებებსა და ვალდებულებებს. ინსტრუქციაში მოცემულია ბავშვთა მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესი, ძალადობის ეჭვისა და გამოვლენის შემთხვევაში მოქმედების ვალდებულებები და შესაბამისი პროცედურები. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვასა და კანონით გათვალისწინებულ რეაგირების წესებს. მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-13, 22/01/2025 დამტკიცებულია დოკუმენტი: „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების უზრუნველსაყოფად, სკოლას 2023 წლის 17 ნოემბერს, დირექტორის ბრძანებით (N2-300), დამტკიცებული აქვს დოკუმენტი: „სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მონაცემთა დამუშავების წესებს, ტერმინთა განმარტებებს, მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, მონაცემთა სუბიექტებსა და მათ კატეგორიებს, მონაცემების წყაროებს, მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, მონაცემთა გამოყენებისა და წვდომის წესებსა და ვალდებულებებს.

სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-298, 16/11/2023წ. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმებს და წარმოდგენილია დანართების სახით („სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ინფორმაციის დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმების დამტკიცების შესახებ“), დანართი N01 შეიცავს ტერმინთა განმარტებას, მოსწავლის მონაცემების დაცვას ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვას ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მონაცემების დაცვას მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვას ელექტრონული ბაზის წარმოებისას, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება, აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და აადვილებს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში შემდგომი ადაპტაციის და დეზადაპტაციის მიზნით, სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის N2-292 ბრძანებით დამტკიცებულია - დანართი 01 „სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის მოსწავლეთა/სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების, აგრეთვე, ენობრივი ბარიერის მქონე და სასკოლო პროცესში ადაპტაციის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმებს, მათი განხორციელების პროცედურებს/გზებს, განსაზღვრავს ადაპტაციის პრინციპებს, მნიშვნელოვან ფაქტორებს, შეიცავს ადაპტაციის წარმატების მახასიათებლებს/ნიშნებს და რეკომენდაციებს. დოკუმენტი ითვალისწინებს გაცნობის პროცედურებს სკოლაში დასაქმებული და დაინტერესებული პირებისათვის. სკოლას აქვს შეთანხმებული სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 7 სექტემბრის ოქმი N32 სხდომაზე და დამტკიცებული აქვს პედსაბჭოს სხდომაზე ოქმი N1, 07/09/2024 წ. „სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა“, რომელშიც წარმოდგენილია (სსსმ) მოსწავლის შეფასების/დასწრების/გაცდენების/შინსწავლების პროცესების აღწერა, განმარტებულია ინკლუზიური განათლება/ინდივიდუალური გეგმა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელების მიზნით, სკოლას აქვს „სსიპ-ქალაქ გორის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების 2024-2025 წლის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ და „სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ“ ბრძანება N2-266 ა, 13/11/2024წ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა შიდა რეგულაციებით ახორციელებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლაში ფუნქციონირებს კანონით გათვალისწინებული სტრუქრურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო, ორგანიზებულ და კეთილგანწყობილ გარემოს.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მოსწავლის უფლებების გაცნობა სხვადასხვა საშუალებებით: სადამრიგებლო საათის ფარგლებში, რაც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამაში. სკოლას აქვს შემუშავებული და გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე „სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის შინაგანაწესი“ და სასკოლო საზოგადოებას /დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა სკოლის საიტზე სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge) და სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა | Gori | Facebook, გაეცნოს შესაბამის საჯარო ინფორმაციას, მის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, აგრეთვე, კარგად ორგანიზებული საიტის რუკა/საძიებო ველები. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შინაგანაწესს. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები - მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი, ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია - რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/დაინტერესებული პირთათვის სკოლის საიტზე, სკოლის სოციალურ ქსელ facebook-ზე. მოსწავლის მშობელთან /მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას აქვს დადებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ორ ეგზემპლიარად მშობელი/სკოლა. სკოლის მოსწავლის ფოტოებისა და ვიდეო მასალების გამოქვეყნება და სასკოლო ექსკურსიებსა და ლაშქრობებში მონაწილეობა ხორციელდება მოსწავლის მშობლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელთან შეთანხმების საფუძველზე, რაც დასტურდება მოსწავლის მშობლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შევსებული თანხმობის ფორმებით.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული 2024-2025წ. ხელშეკრულება, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, აღნიშნული ხელშეკრულება დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა რეკვიზიტებს.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო კლასის ოქმი შინაგანაწესის გაცნობა;
- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი თავმჯდომარის არჩევა;
- ბავშვის დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირის განსაზღვრის შესახებ სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის ბრძანება N2-13;
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 იანვრის ბრძანება N2-12;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესის და მექანიზმების დამტკიცების შესახებ სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის ბრძანება N2-300;
- მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმების დამტკიცების შესახებ სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ნოემბრის ბრძანება N2-288;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების 2024-2025წ. განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შეასხებ“ 2024 წლის 13 ნოემბრის ბრძანაბა N2-266 ა;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ, რომელშიც გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევის წესი. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ, მოსწავლე რეგისტრირდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, აგრეთვე, აღწერილია „სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში“ და „სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის შინაგანაწესში“. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილია საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. მოსწავლის ჩარიცხვის წესისა და პირობების, აგრეთვე, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის დაძლევისა და მობილობის წესის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და გაზიარება უზრუნველყოფილია სკოლის მიერ მოსწავლის მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, რაც დასტურდება სკოლის მიერ სსიპ-ქალაქ გორის საჯარო სკოლის eShool-ის ბაზაში განთავსებული დოკუმენტით, სადაც თავმოყრილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის შინაგანაწესში". აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილია საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. მოსწავლის ჩარიცხვის წესისა და პირობების, აგრეთვე, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის დაძლევისა და მობილობის წესის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და გაზიარება უზრუნველყოფილია სკოლის მიერ მოსწავლის მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, რაც დასტურდება სკოლის მიერ სსიპ-ქალაქ გორის საჯარო სკოლის eShool-ის ბაზაში განთავსებული დოკუმენტით, სადაც თავმოყრილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

„სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის „შინაგანაწესით ", რომელიც განთავსებულია საჯაროდ, სკოლის ფოიეში, სპეციალურ სტენდზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა ღია კარის დღე დაინტერესებული პირებისთვის, სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ დამატებით სავალდებულო მომსახურებას, რომელიც დაინტერესებული პირებისათვის საჯარო და ხელმისაწვდომია. სკოლაში ფუნქციონირებს „STEM-ინოვატორ-მოსწავლეთა კლუბი", ეკო-კლუბი „ეკო მეგობრები", მკვლევართა კლუბი ,, პარნასი", „რობოტიკის კლუბი", „ხელოვანი-ისტორიკოსების კლუბი", „მკითხველთა კლუბი", კლუბი ,,ახალგაზრდული ჰაბი", კლუბი „რუსული ენის წრე", „გახანგრძლივებული ჯგუფი". კლუბურ მუშაობასა და სასწავლო

პროექტებში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები, რაც დასტურდება განთავსებული ინფორმაციით (სამოქმედო გეგმების საჯაროობა) და სურათებით/ვიდეომასალით სკოლის ვებ-გვერდზე და Facebook გვერდზე.

სკოლა ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით მოსწავლეთა განვითარებას, კერძოდ, სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან“, თანამშრომლობს „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ , „სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასთან“, პროფესიულ კოლეჯთან: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,განთიადი“ და პერიოდულად სკოლის ბაზაზე, აგრეთვე ადგილზე მისვლით ახორციელებს პროფესიულ/უმაღლესი პროგრამებს გაცნობას, რაც დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი ოქმებით და Facebook გვერდზე განთავსებული ფოტო/ვიდეო მასალით. სკოლაში, აგრეთვე, ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი ფასიანი წრე „სიონი“, რომელიც სარგებლობს სასკოლო საზოგადოებაში და თემში პოპულარობით და აქვს წარმატებები, რასაც სკოლა პერიოდულად აქვეყნებს Facebook გვერდზე და უზიარებს სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ, კერძოდ სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, პროექტები, საჩვენებელი გაკვეთილები, კონფერენციები და სხვა. ინფორმაციის განახლება ხორციელდება რეგულარულად და ატარებს არადისკრიმინაციულ ხასიათს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებას და მათგან იღებს თანხმობას. ინფორმირებისა და თანხმობის რეგულაციები გაწერილია მოსწავლეს/მოსწავლის მშობელს/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებაში, აგრეთვე, რეგულირდება „პერსონალური მონაცემების დაცვის წესის და მექანიზმების დამტკიცების შესახებ სსიპ-ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის N2-300 ბრძანებით“. სკოლის მიერ განხორციელებულ აქტივობებში ყველა მოსწავლე სარგებლობს თანაბარი უფლებით და დისკრიმინაციის გარეშე აქვს ჩართვის/მონაწილეობის/რესურსის

სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge);
- სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა | Gori | Facebook;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- შინაგანაწესი;
- სკოლის მიერ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,განთიადთან“ შეხვედრების ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი N 3 მე-9 კლ.პროფ ორინტაციაზე;
- კლუბების 2024-2025 წლის სამუშაო გეგმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და სსიპ - ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის N2-292 ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - დანართი 01 „სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის მოსწავლეთა/სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს პროცედურები/აქტივობები, კერძოდ: სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით; სკოლის დირექცია შესაბამისი კლასის დამრიგებელს/კოორდინატორს/დამრიგებელ-კოორდინატორს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს; აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი აწვდის კლასის დამრიგებელს/კოორდინატორს/დამრიგებელ-კოორდინატორს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი/კოორდინატორი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და სურვილის შემთხვევაში, აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს/კლასის საათს უთმობს მოსწავლეების გაცნობას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;

დამრიგებელი ახლადჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლების დაწყების პირველივე დღიდან მიზანმიმართულად ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს ახალ სასწავლო გარემოსთან. ამ პროცესს საფუძვლად უდევს სკოლის მიერ ჩამოყალიბებული ადაპტაციის მექანიზმები, რომლებიც განსხვავდება მოსწავლეთა საჭიროებების, კლასებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

პირველკლასელთა ადაპტაციისთვის: სპეციალურად დაგეგმილია კვირეული, რომლის ფარგლებშიც დამრიგებლები ორგანიზებენ სკოლის შენობის დათვალიერებას, თანამშრომლების გაცნობას, თავისუფალ საუბრებს, თემატურ აქტივობებსა და ერთობლივად წესების შემუშავებას; მორალურ-ემოციური მხარდაჭერისთვის გამოიყენება მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი მეთოდები, როგორიცაა თამაშებით სწავლება, შემეცნებითი აქტივობები და ილუსტრირებული რესურსები. **მეხუთე კლასში გადასულ მოსწავლეებსა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეებზე**: ადმინისტრაცია და დამრიგებელი ერთად გეგმავენ ინტეგრაციის ნაბიჯებს: გაცნობითი შეხვედრები კლასში, წარდგენა, ჯგუფური სამუშაოები; ჩართულნი არიან სკოლის ფსიქოლოგი და პედაგოგიური გუნდის წევრები, რომლებიც აკვირდებიან მოსწავლის პირველადი შეგრძნებების ცვლილებას და საჭიროების შემთხვევაში რეაგირებენ. შშმ და სსსმ მოსწავლეებისთვის: შექმნილია სპეციალური, ფიზიკურად ადაპტირებული სივრცე (რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები, პანდუსი…); სკოლას ჰყავს ორი სერტიფიცირებული სპეციალური მასწავლებელი და ორი ასისტენტი, რომლებიც თანამშრომლობენ კლასის პედაგოგებთან და სისტემატურად ახორციელებენ ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მხარდაჭერას; სწავლების ადაპტაცია იწყება სწავლის დაწყებისთანავე, რაც მოიცავს საჭიროების მიხედვით ისგ-ის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) შედგენას, მშობლებთან

კომუნიკაციას და ინდივიდუალური რესურსების შერჩევას. სკოლა ასევე იყენებს შემეცნებითი ექსკურსიების, ინკლუზიური ღონისძიებებისა და გარე აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების გარემოსთან შეგუების ხელშესაწყობად.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გააჩნია მიზანმიმართული და მრავალდონიანი ადაპტაციის მექანიზმები, რომლებიც იწყება სწავლის დაწყების მომენტიდანვე და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ და სპეციალურ საჭიროებებს. ეს პროცესები დაფუძნებულია სკოლაში მოქმედ პროფესიულ თანამშრომლობასა და სისტემურ მიდგომებზე.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი კონსულტირება საგნის მასწავლებლებთან. რა დროსაც მკაფიოდ იკვეთება, თუ რა პროგრესი განიცადა მოსწავლემ. ხოლო შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად სკოლაში ინერგება ვერიფიკაციის მექანიზმი, რამაც უნდა გააუმჯობესოს შეფასების სისტემის ხარისხი სკოლაში. კლასის დამრიგებელი თვეში ერთხელ ინდივიდუალურად აცნობს მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ სხვადასხვა საგნებში, კოორდინაციას უწევს მშობლებისა და საგნის მასწავლებლების კავშირს, რაც უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას მოსწავლის საჭიროებების დადგენაში და სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებაში. მოსწავლის აკადემიური მიღწევების მხარდასაჭერად დამტკიცებული და გაწერილია სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 7 სექტემბრის ოქმი N32 სხდომაზე შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს პედსაბჭოს სხდომაზე ოქმი N1, 07/09/2024 წ. „სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა“, კერძოდ, „გამოცდის ტიპები“- სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები სემესტრული გამოცდა; წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; საშემოდგომო გამოცდა; ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა; მოსწავლისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება შესაბამის საგანში კონსულტაციები. მასწავლებლების სასწავლო პროცესის დაგეგმვა/ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ სასწავლო

მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაში, მასალის გაგება-გააზრებაში, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაში და თვითშეფასებაში.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობაზე. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდების შესაძლებლობის შესახებ, სკოლას დაცული აქვს საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის წინაპირობა, სკოლას ჩატარებული აქვს მოსწავლეებისათვის საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება გაწერილი შეხვედრების გრაფიკით და დადგინდა გასაუბრების დროს. ამ გზით სკოლა ეხმარება მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლა აცნობს მოსწავლეებს/მშობლებს მობილობის დროს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ განსახორციელებელი აქტივობების და მობილობის შეზღუდვების შესახებ და ა.შ. სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი ვადები. საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე, სკოლის ფოიეში, სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა ახორციელებს სხვადახვა ტიპის პროექტებით: STEAM პროექტები, სოციალური პროექტები, სასკოლო პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. სკოლის სოციალურ ქსელში არის განთავსებული ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა. სკოლის თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე კლასებიდან შემოსული წინადადებები, კითხვები მუშავდება, თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის ერთობლივად მუშაობის შედეგად, იღებენ გადაწყვეტილებებს და ეცნობება დაინტერესებულ პირებს ცვლილებების შესახებ. სკოლა

ფინანსურადაც მხარს უჭერს სკოლის მოსწავლეების ინიციატივების განხორციელებას, მაგალითად, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სკოლის სპორტის მასწავლებლების ჩართულობით ჩატარდა სპორტული ტურნირები და სხვადასხვა გასართობი/შემეცნებითი ღონისძიებები, რაც არის გამოქვეყნებული ფოიეში, სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე და დასტურდება შესაბამისი ფოტო-ვიდეო მასალით.

ინდიკატორი 4.2.1..5. დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს Google Forms -ის საშუალებით გამოკითხვას მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დასადგენად. მშობელთან გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის რევიზიისა და დაგეგმვის პროცესში. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მოსწავლეთა/მშობელთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. უკუკავშირის მიღება ხორციელდება, აგრეთვე, შეხვედრებზე/კრებებზე და სკოლა იყენებს Forms-ის კითხვარებს, ელექტრონულ ფოსტას და სოციალურ ქსელებს. საჭირო ინფორმაცია და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე, სკოლის ფოიეში, სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ტრანზიციის წესის დამტკიცების შესახებ დანართებით;
- სსსმ მოსწავლის ასისტენტის ხელშეკრულება;
- თვითმმართველობის ოქმი;
- პროექტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში. ისინი ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. სკოლა პროფესიულ კოლეჯთან/უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებს ვიზიტებს, იწვევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეთა/მშობელთა ინფორმირების მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. ინფორმაციის მიწოდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ხორციელდება, აგრეთვე, შეხვედრებზე/კრებებზე და სკოლა იყენებს Forms-ის კითხვარებს, ელექტრონულ ფოსტას და სოციალურ ქსელებს. საჭირო ინფორმაცია და სკოლის დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე, სკოლის ფოიეში, სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მოსწავლეთა/მშობელთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. უკუკავშირის მიღება ხორციელდება, აგრეთვე, შეხვედრებზე/კრებებზე, სკოლა იყენებს Forms-ის კითხვარებს, ელექტრონულ

ფოსტას და სოციალურ ქსელებს. საჭირო ინფორმაცია და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე, სკოლის ფოიეში, სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე. აგრეთვე გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს Google Forms -ის საშუალებით გამოკითხვას.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიული კოლეჯი ,,განთიადის“ შეხვედრის ოქმი;
- მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- დამრიგებლის ოქმი პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებით;
- სკოლის ვებ-გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge);
- სკოლის სოციალური ქსელი facebook-ზე სსიპ ქალაქ გორის N12 საჯარო სკოლა | Gori | Facebook.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელშიც აღწერილია სკოლაში არსებული, სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშემწყობი მექანიზმები, რაც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებთან.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას ჰყავს 7 სსსმ მოსწავლე. თითოეული მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი. საგნის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების შესაბამისი სპეციალისტების მუშაობა მიმართულია მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად.

სკოლის მიერ წარმოდგენილია ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, ასევე ბრძანება ისგ ჯგუფი შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილ ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში აღწერილია, რომ სკოლის ისგ ჯგუფი თვალს ადევნებდა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას, ხვდებოდა პედაგოგებს, მშობელს და აწვდიდა შესაბამის ინფორმაციას. ასევე პედაგოგები ადგენენ შესაბამის ტესტებს მათი ინდ. გეგმების შესაბამისად. მოსწავლეთათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საგანმანათლებლო რესურსით. ასევე სკოლის ისგ შემუშავების რეგულაციაში გაწერილია სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, რომლებიც შესაბამის დროში ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას; წარმოდგენილი მასალებით დასტურდება სსსმ მოსწავლეთა წინსვლასა და განვითარებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა;

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება ისგ ჯგუფი შესახებ;
- სსსმ მოსწავლის დასკვნა;
- ისგ;
- ისგს სხდომის ოქმი;
- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის მექანიზმი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე, კვების სერვისი, სკოლა ახორციელებს ტრანსპორტირების სერვისს, რაც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და იჯარის ხელშეკრულებით გადაცემულია შესაბამის პირებთან.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ახორციელებს ტრანსპორტირების სერვისს, რაც დასტურდება 2024 წლის ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4 (კონსოლიდირებული ტენდერი - CON240000441). კვების ობიექტის სერვისის მიწოდება უზრუნველყოფილია შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულებით ფიზიკურ პირთან („იჯარის ხელშეკრულება 2025 წლის 17 მარტი“). არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არის ნებაყოფლობითი, შეთანხმებულია (წესითა და პირობებით) მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან, ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლის ტერიტორიაზე შინაგანაწესით რეგულირდება ქცევის წესები, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, ასევე, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. სკოლის დირექცია და მანდატურის სამსახური უზრუნველყოფენ სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების განუხრელ შესრულებას. სკოლაში შექმნილია ბუფეტის მონიტორინგის ჯგუფი და სურსათის უვნებლობის შემოწმების აქტის საშუალებით, სკოლა უზრუნველყოფს მომსახურების მონიტორინგს და ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტის ხელშეკრულება;
- გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლის ხელშეკრულება;
- კვების ხელშეკრულება;
- ექსკურსიის განაცხადი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სსგ-დამტკიცების შესახებ.

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეიცავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კერძოდ, დაგეგმვა, შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია, პროცესში ჩართულ მხარეებსა და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს, შესაბამისად, კურიკულუმის განვითარება უწყვეტი და განვითარებადი პროცესია. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, ინფორმირების და უკუკავშირის მიღების სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდი/სოციალური ქსელი/კითხვარი/შეხვედრები/სამუშაო ჯგუფები. გასაუბრებისას სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ და უკვე ახორციელებენ სამუშაო ჯგუფებში/კათედრებზე ცვლილებების განხილვის პროცესებს, გამოკითხვას სასკოლო საზოგადოების ელექტრონული ფორმების გამოყენებით სხვადასხვა პლატფორმებზე. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მასწავლებლების გამოცდილების და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შინაარსი ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან, ხოლო შერჩეული თემები/საკითხები - სასკოლო საზოგადოების ინტერესთან, რაც ეფუძნება ჩართული სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირს. საგნობრივ ჯგუფებში გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულობა მაღალია, ითვალისწინებენ არსებულ გამოცდილებას, გააზრებულია გამოწვევები, ანალიზი უკეთდება წარმატებულ პრაქტიკას, გათვალისწინებულია ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროები. შემოქმედებითი ტიპის დავალებების, პროექტების, ღონისძიებების ანალიზის შედეგად, შედის ცვლილებები, რათა გაუმჯობესდეს პროცესი და ეს აისახოს მოსწავლის წარმატებაზე, მოსწავლის საჭიროების გათვალისწინება ხორციელდება ყველა სეგმენტის ჩართულობით, დიალოგის და განხილვის შედეგად. კურიკულუმი ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების მიზანმიმართულობას, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. იგი ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები და დირექცია. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს.

კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია დასანერგი შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, შესაბამისად ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს.

მასწავლებლების შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პლატფორმების გამოყენებით კათედრები იყენებენ კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით, რაც აისახება ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნული ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და მათგან მიღებულ უკუკავშირს, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს კითხვარებს სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით. სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოება გაეცნოს: საგნობრივ პროგრამებს, სადამრიგებლო საათის პროგრამას, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიურ კალენდარს, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

კათედრებთან შეხვედრის პროცესში დადგინდა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს, აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებსა და გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. კლასის დამრიგებლები/საგნის მასწავლებლები წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე სასკოლო საზოგადოებას აცნობენ საგნის კურიკულუმს. სასკოლო ცხოვრებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რაც დასტურდება სკოლის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტო/ვიდეო მასალით.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი სსგ -დამტკიცების შესახებ
- დაწყებითი კათედრის ოქმი
- მშობელთა კრების ოქმი (დაწყებითი საფეხური)
- კლასის საათის ოქმი(დაწყებითი საფეხური)

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების შესამოწმებლად წარმოდგენილია კომპლექსური და სხვა დავალებები. აღნიშნული დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას.

	რჩევა: სასურველია **III და IV კლასის კურიკულუმში,** სავალდებულო თემები გაიწეროს ბუნებისმეტყველების სტანდარტის შესაბამისად. თემების სვეტში ორივე კლასში მოცემულია სახელმძღვანელოს თავები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შექმნილი კურიკულუმები **სამივე საფეხურზე** იძლევა შესაძლებლობას სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად, იძლევა მოსწავლეთა აკადემიური უნარების შემდგომი განვითარების პერსპექტივას. მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა ამ მიმართულებით სამომავლოდ განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ (მათ შორის, კურიკულუმის ფორმებთან მიმართებითაც). **რჩევა :** კურიკულუმის განტვირთვის მიზნით სასურველია გაუქმდეს გრაფა, რომლებშიც გაწერილია საგნობრივი სტანდარტები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი **სამივე საფეხურზე** იმგვარადაა მოდიფიცირებული და მორგებული სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებს, რომ ის ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებების, ასევე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს, ცდილობენ იმგვარად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ ის საინტერესო იყოს თითოეული მოსწავლისათვის. რჩევა: რომ მოსწავლეზე მეტად ორიენტირებულ სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს ტექნოლოგიების უფრო აქტიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტული მუშაობა და ინტეგირებული გაკვეთილები.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც

	საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიუკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში.
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. იგი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმი ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების მიზანმიმართულობას. ასევე, ის ქმნის შესაძლებლობას მრავალფეროვანი თემებისა თუ შემაჯამებელთა იდეების საფუძველზე მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა. მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უზრუნველყოფს აქტიურ სწავლის გარემოს, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. იგი ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე** კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას;
სპორტი	**სამივე საფეხურის** შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; შემუშავებული კურიკულუმე/ბი, მასწავლებლის მიერ შედგენილი თვითშეფასების რესურსი სკოლაზე მორგებულია.

ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ **დაწყებითი საფეხურის** კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმში მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ითვალისწინებს ერთის მხრივ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მეორეს მხრივ – სკოლის მისიას. გათვალისწინებულია **დაწყებითი** კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

]

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე,** საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმის ცხრილში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია კომპლექსური ან სხვა შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობის უნარი. კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათები - აქტივობებითა და შეფასების რუბრიკებით. წარმოდგენილი კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და სხვა დოკუმენტაციის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შექმნილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ მიზნებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების **სამივე საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების (საგნობრივი ცნებების) გააზრებაზე, სასწავლო საგნებში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემა. მასწავლებლებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სამომავლოდ გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე (საგნობრივ სამიზნე ცნებებზე) უფრო მიზანმიმართული საქმიანობის დაგეგმვაზე, კერძოდ, როგორ არის შესაძლებელი სამიზნე ცნებების გააზრება მოხდეს კონკრეტულ სასწავლო საკითხებთან უფრო მეტად დაკონკრეტების მეშვეობით. **რჩევა :** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში გამოიყოს უფრო მეტი სასწავლო საკითხი და სასწავლო საკითხები დამუშავდეს არა ერთდროულად ყველა

	სამიზნე ცნების, არამედ 1 ან რამდენიმე ცნების ფარგლებში სასწავლო საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურზე** კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები ესგ სტანდარტის მიხედვითაა განაწილებული. ასევე კურიკულუმებში ჩაშენებულია სტანდარტის ის შედგები,რასაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს თითოეული საფეხურის ბოლოს. გარდა ამისა გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ უცხო ენების გაკვეთილებზე მუშავდება ესგ პრიორიტეტული თემები მაგ. გლობალური მოაქლაქეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, კულტურული მემკვიდრეობა და სხვა.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმები, წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, რესურსები შემოქმედებითი პროდუქტის, თუ კომპელქსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. ***რჩევა:*** მუსიკის მე-6 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია თემა „ეთნოგრაფია და მუსიკა“, დაწყებით საფეხურზე მუსიკის სტანდარტში მოცემულია სავალდებულო თემები, რაც

	აუცილებლად უნდა დამუშავდეს წლის მანძილზე. სასურველია დაზუსტდეს დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის თემები სტანდარტთან თანხვედრაში.
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** კურიკულუმი უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. იგი წარმოადგენს იმ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც სკოლა ახორციელებს ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტების პრაქტიკაში გადმოტანას. კურიკულუმი ასახავს ზოგად ეროვნულ მიზნებს კონკრეტულ სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი ეხმარება სკოლას, ჩამოაყალიბოს სასწავლო გარემო, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის განათლების ფილოსოფიასთან. იგი ასევე უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ერთიან სტანდარტს. კურიკულუმის მეშვეობით იქმნება ბმა მოსწავლის საჭიროებებსა და ეროვნული მიზნების მიღწევას შორის.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე** კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივი სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. გამოვკვეთ მეცხრე კლასის მოსწავლეების მიერ განხორციელებულ შემოქმედებით პროდუქტს თემაზე: „წრეწირი, წრე“, სადაც დასაგეგმი და მოსაწყობი იყო ყვავილნარი - აქ მკაფიოდ ჩანს მოსწავლეთა სიღრმისეული ცოდნა. ასევე მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო იყო **მესამე კლასის** კურიკულუმში გეომეტრიული ფიგურების შესახებ შემუშავებული დავალება, რომელიც მოსწავლეებმა წარმატებით განახორციელეს.

სპორტი	**სამივე საფეხურის,** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ **დაწყებითი საფეხურის** კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებთან ინტერვიუ, სადაც ისინი საუბრობენ

	ფორმალურ თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ , რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ა) სიღრმისეული სწავლა; ბ) პოზიტიური სასწავლო გარემო; გ) ინკლუზიური განათლება. კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე,** საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები (ტელესკოლის გაკვეთილები, ვიდეო რესურსები, ვირტუალური ლაბორატორია, სიმულაციები, კვლევითი ტიპის დავალებები, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიებში არსებული მატერიალური რესურსები) უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კვლევის და სხვა მნიშვენლოვანი უნარების განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების კურიკულუმებში და დამატებით გამოგზავნილ მასალებში (მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები) საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ კურიკულუმი საჭიროებს საგანმანათლებლო რესურსებით შემდგომ გამრავალფეროვნებას. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის შემდგომი გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით (საგანმანათლებლო რესურსების ბმულები, მასწავლებლების მომზადებული. მოდიფიცირებული რესურსები და სხვ.). რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **უმეტესწილად დაწყებით და საბაზო საფეხურზე.**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურზე** კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი რესურსები სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი რესურსით. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილია ფოტომასალით.

სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია სკოლის მიერ. კონკრეტულად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – მათ შორის სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული მასალები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად ემსახურება მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები ახერხებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ისე სოციალური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც ტექსტები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მოცულობითი თემებთან მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე** კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას;

სპორტი	**სამივე საფეხურის** შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები,
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული რესურსები Tinkercad.com (3დ დიზაინი და ციფრული წრედების აწყობა), Scratch.mit.edu (ანიმაციებისა და თამაშების შექმნისთვის), Code.org (პატარებისთვის მარტივი თამაშებისა და ანიმაციების ასაწყობი საიტი), bookcreator.com (ელექტრონული წიგნის შესაქმნელად); edu.buncee.com (მულტიმედია ფაილის შექმნა); Arduino IDE (წრედების დასაპროგრამებელი კოდებისთვის), Lego Spike (ლეგოს რობოტების დასაპროგრამებელი აპლიკაცია), რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმები მოიცავს საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, რესურსებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ სასკოლო აქტივობებს, შეფასების ინსტრუმენტებს, რომელებსაც სკოლა ქმნის და მოსწავლეებს სთავაზობს პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი კურიკულუმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, კომპლექსური და სხვა შემოქმედებითი ტიპის დავალებების ბარათების, განხორციელებული პროექტების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მასალა და რესურსები მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების კურიკულუმებში და დამატებით გამოგზავნილ მასალებში (მასწავლებლების მიერ შექმნილი სსსმ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით შექმნილი ვიზუალური რესურსი ისტორიაში, არაფორმალური განათლების ამსახველი მასალები) იკვეთება, სასწავლო პროცესი ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა ის მიმართულებები, თუ როგორ შეიძლება კურიკულუმის შემდგომი გამრავალფეროვნება ამ მიმართულებით სამომავლოდ.
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები, **სამივე საფეხურზე** ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომას, შემოქმედებითი დავალებები შეთავაზებულია მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით. გასაუბრებაზე მასწავლებლემბა ახსენეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ატარებენ დიაგნოსტიკურ წერას თავიანთ კლასებში, რითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა დონეს. შემდეგ კი რესურსების და აქტივობების შექმნის დროს ითვალისწინებენ მიღებულ შედეგებს. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს

	მრავალფეროვანი რესურსები, სხვადასხვა უნარების და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მიერ შესრულებული.
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე** სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რითაც გამოხატავს მზაობა სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სხვა საგნებთან ერთად გაწერილი არის აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. ***რჩევა:*** მუსიკის საგანში აქტივობაში მოცემულია შემდეგი პირობა: „გაავლოს წერტილებზე ხაზის გავლებით სხვადასხვა ტიპის ხაზები“, სასურველია ასეთი აქტივობა დაკონკრეტდეს მუსიკის მახასიათებლებთან მიმართებაში, მაგ.: გაავლოს ხაზი ბგერის სიმაღლის, ან ბგერის სიძლიერის, ან ტემბრის მიხედვით და სხვა.
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** სკოლა დამაკმაყოფილებლად ახორციელებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში აშკარად ჩანს მცდელობა, ყველა მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოხდეს სწავლა-სწავლების ორგანიზება. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და საშუალებებს იმისთვის, რომ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, მათ შორის მათიც, ვინც განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს ავლენს. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებშიც იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ასევე ინკლუზიური მიდგომები. სკოლის სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას. **რჩევა:** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე

	შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე** სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. თემების დაგეგმვაში ჩართულია მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს კლასკომპლექტებთან მუშაობისას;
სპორტი	**სამივე საფეხურის,** მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სასწავლო პროცესი წარიმართება დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილი **დაწყებითი საფეხურის საგნობრივი** (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი

	ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებელს კომპლექსური დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს დიფერენცირებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, გაკვეთილზე გამოსაყენებელი დამხმარე მასალები და აქტივობები რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებით საფეხურზე** პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. **რჩევა:** სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრამ **სამივე საფეხურზე** წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილ რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილ ნიმუშში შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში წარმოდგენილი შეფასების სისტემის ამსახველი დოკუმენტაცია შესამისობაშია ესგ განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა ის აქცენტები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას. მაგალითად, მოსწავლის შეფასების რუბრიკაში სასწავლო პროცესში ჩართულობის კომპონენტის ჩართვა, რუბრიკების შეფასების შედგენის დროს უფრო მეტი კონცეტრირება სასწავლო საკითხის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნების / ცნებების გააზრებაზე და სხვ. **რჩევა :** სასურველია მოსწავლის შეფასების რუბრიკაში სასწავლო პროცესში ჩართულობის კომპონენტის ჩართვა, ამასთანავე რუბრიკების შეფასების შედგენის დროს უფრო მეტი კონცენტრირება სასწავლო საკითხის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნების / ცნებების გააზრებაზე. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
უცხოური ენები	**სამივე საფეხურის** კათედრის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში გვხვდება შეფასების რუბრიკები, რომლებსაც პედაგოგები იყენებენ საუბრის, წერის, კითხვის, მოსმენის უნარების შესამოწმებლად. გასაუბრებაზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ გაკვეთილზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სიტყვიერ, განმავითარებელ უკუკავშირს, დაწყებით საფეხურზე მშობლებს უგზავნიან წერილობით უკუკავშირს.

	ასევე დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში კათედრამ გადმოაგზავნა შემაჯამებელი დავალების ერთი ნიმუში და ანალიზი. მიღებული დოკუმენტაციის და გასაუბრების საფუძველზე, შემიძლია დავასკვნა, რომ კათედრაზე მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **რჩევა:** მუსიკის საგნის მე-9 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ცნებებს მინიჭებული აქვს 2 ქულა და შემდგომ გაწერილია პროდუქტის შეფასება. სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალური ქულას შეადგენს.
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** შეფასების რუბრიკების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრონციპებთან. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ცოდნის შემოწმება, ისე უნარებისა. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტესტური ფორმებით – მასში შედის სხვადასხვა სახის ფორმატული და შემაჯამებელი მეთოდი, რაც ეხმიანება გეგმით განსაზღვრული მრავალმხრივი შეფასების მიდგომას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ ცხადად ფორმულირებულ კრიტერიუმებს, რათა შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე

	და განვითარებაზე ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სკოლა რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ფორმებს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების ფორმები. **რჩევა:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე** მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ და შემაჯამებელ კომპონენტებს. სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას;
სპორტი	**სამივე საფეხურზე** პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაიქმნება მოძრაობაში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
ტექნოლოგიები	**დაწყებით საფეხურზე** მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ჩანს, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. კომპიუტერული

	ტექნოლოგიების კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებს თან ერთვის შეფასების რუბრიკები. სკოლამ დამატებით წარმოადგინა V კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი მექანიზმი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნის კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური);
- საგნის კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური);
- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმღვანელოები, დამატებითი საგანმანათლებლო (ელ.რესურსი) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება. მასწავლებლის შექმნილი რესურსები;
- სსსმ მოსწავლის დასკვნა,ისგ,ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ისგ-ს დამტკიცების შესახებ;
- ეროვნული სასწავლო გეგმა,მუხლი 7-მოსწავლის შეფასების პრიციპები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია კომპლექსური, შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებების ბარათებში

	მოცემულია აქტივობები და რესურსები. შემოქმედებითი პროდუქტების, ვიდეო გაკვეთილების, ვირტუალური ლაბორატორიისა და სიმულაციების გარდა სკოლაში ხორციელდება პროექტები, მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და კვლევის უნარების განვითარებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** სასწავლო პროცესი 2024-2025 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, რაც დასტურდებოდა განხორციელებული საქმიანობის ამსახველი მასალების წარმოდგენით. მასწავლებლებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სამომავლოდ (2025-2026 სასწავლო წელს) განსახორციელებელ ზოგიერთ ცვლილებაზე კურიკულუმის განვითარების მიზნით.
უცხოური ენები	პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილი კურიკულუმი წლის განმავლობაში გადაიხედება **სამივე საფეხურზე,** შესაბამისი მოდიფიცირების შემდეგ ხდება საბოლოო ვერსიის შემუშავება, რომლის დაგეგმვა განხორციელებაც ხდება შემდეგ სასწავლო წელს . კათედრაზე იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ სავალდებულო და დამატებით რესურსებს, წლის განმავლობაში ახორციელებენ შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც კურიკულუმითაა განსაზღვრული.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას

	ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი პროდუქტები, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში მოცემულ თემატიკას, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. თითოეული სასწავლო ერთეული წარიმართება კურიკულუმში ჩამოყალიბებული ლოგიკით, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შესაბამისობაშია სწავლების პრაქტიკასთან, არამედ მისი ძირითადი საყრდენია.
მათემატიკა	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი **სამივე საფეხურზე** კარგად არის დაგეგმილი და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან; მნიშვნელოვანია, რომ კათედრის შემაჯამებელი ოქმის პრიორიტეტულ საკითხად დასმულია კურიკულუმების ანალიზი - რაც პედაგოგებს ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ გასცემს კითხვაზე პასუხს - სასწავლო პროცესი იყო

	თუ არა დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და რა შედეგზე გავიდნენ, რა ცვლილებებია საჭირო საერთო მიზნის წარმატებით მისაღწევად.
სპორტი	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ **სამივე საფეხურის** საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნისთვის გეგმა და მეთოდიკა. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხებს შორის. ეს უზრუნველყოფილია ერთის მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმებით, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ერთიანი, მარტივი სტრუქტურა, რომელშიც გაწერილი იქნება სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განვითარებას. საგნის მასწავლებლები ახორციელებენ სწავლების პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დაცვით, რაც დასტურდება გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციით და მაგალითებით. სასკოლო კურიკულუმი ორიენტირებულია მუდმივად განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესები. მაგალითისთვის, წახალისებულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ მოსწავლეთა პროექტებში აქტიური ჩართულობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით ხორციელდება კურიკულუმის გადახალისება.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. კათედრის მიერ წარმოდგენილ, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია ცოდნა, რომლის გაზომვაც სურს მასწავლებელს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლას აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში წარმოდგენილი მასალების მიხედვით შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მთლიანობაში მოსწავლისთვის თვალნათელს ხდის რა კრიტერიუმების მიხედვით შეფასდებიან

	მოსწავლეები, თავად კრიტერიუმები ითვალისწინებს შესასწავლი მასალის ფარგლებში საგნობრივი ცნებების ფლობის დონეებს, რომლებსაც მოსწავლეები გაცნობილები არიან. გასაუბრებაზე ყურადღება გამახვილდა, რომ სასურველი იქნებოდა შეფასების კომპონენტში (რუბრიკებში) ასახული იყოს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი. **რჩევა:** სასურველია მოსწავლის შეფასების პროცესში გაძლიერდეს თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების მიმართულებები. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ **სამივე საფეხურზე** წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტები. ისინი იყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება უცხოურ ენაზე სხვადასხვა უნარების შეფასებას, როგორიცაა მოსმენა, ლაპარაკი, წერა და კითხვა.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური.
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეყრდნობა ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობასა და ობიექტურობას, რაც შეესაბამება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება არ განიხილება მხოლოდ როგორც მოსწავლის

	შედეგის ფიქსაცია, არამედ წარმოადგენს უწყვეტ, განვითარებისკენ მიმართულ პროცესს. განსაკუთრებით გამოსარჩევია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომელსაც პედაგოგები სწავლების პროცესში იყენებენ. თითოეული რუბრიკა ეხმიანება აქტივობის შინაარსსა და მიზანს. რუბრიკებში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. თითოეული შეფასება ეფუძნება მოლოდინებს და არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც აძლიერებს სისტემის ობიექტურობას. **რჩევა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგოორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე** შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. გამოყენებულია მრავალმხრივი შეფასების ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და პროგრესის სრულფასოვან ასახვას. შეფასება ასევე მოიცავს განმავითარებელ უკუკავშირს, რაც ზრდის სწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებშიც მკაფიოდ ჩანს, რომ წინასწარ (დავალების შესრულებამდე) მოსწავლეს სრულფასოვანი ინფორმაცია მიეწოდება შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

სპორტი	**სამივე საფეხურის** კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **დაწყებით საფეხურზე** გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. , წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. **რჩევა:** სასურველია, გამოიყენონ შეფასების სხვა ფორმები. მაგ: თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. ამავდროულად, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები და ფორმები. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების, ხოლო მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებების შედეგებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა წარმართოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის დირექტორთან და კათედრებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად (3 წლის ვადით).

სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: მოსწავლის პორტფოლიოს, როგორც ელექტრონული/მატერიალური ფორმით. სკოლაში არსებობს წახალისების მოქნილი სისტემა, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. მათი წარმატება გაზიარებული და აღიარებულია სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მიერ. მოსწავლეთა შესახებ არსებული ინფორმაცია ინახება შესაბამისი კანონის გათვალისწინებით და პერსონალური ინფორმაციის დაცვით.

სკოლაში ყველა დოკუმენტბრუნვა ხორციელდება კანონის შესაბამისად, აქვს დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნას, არის მრავალფეროვანი და ინკლუზიური, ემსახურება მოსწავლეთა წარმატებას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სკოლა სასწავლო წლის ბოლოს გაითვალისწინებს კათედრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზიასთან დაკავშირებით;
- ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 7, მოსწავლის შეფასების პრინციპები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი შეფასებასთან დაკავშირებით;
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სამივე საფეხურის** კურიკულუმებში გაწერილია რესურსები ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე, მრავალფეროვანი რესურსები (ვიდეო მასალა, ვირტუალური ლაბორატორია, სიმულაციები, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები), რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას და კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ასახულია ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში,

	თუმცა მასწავლებლებმა დამატებით გადმოაგზავნეს მათ მიერ შედგენილი სასწავლო რესურსები, (მათ შორის სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მასალები). მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა კურიკულუმების შემდგომი გამრავალფეროვნების საკითხი დამხმარე სასწავლო რესურსების მხრივ. **რჩევა :** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ იზრუნოს სასწავლო პროცესში დამხმარე სასწავლო რესურსის გამრავალფეროვნებაზე და დამატებული რესურსები აისახოს კურიკულუმის ფორმაში ბმულების სახით. რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **უმეტესწილად დაწყებით და საბაზო საფეხურზე.**
უცხოური ენები	კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ **სამივე საფეხურზე** კთედრა იყენებს სტანდარტით განსაზღვრულ სახელმძღვანელოებს და დამხმარე რესურსებს, აღნიშნული რესურსები გაწერილია სამივე საფეხურის კურიკულუმში და ის გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ბეჭდურ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერებს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად, ხელნაკეთ ინსტრუმენტებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადასხვა მაკეტებს, პლაკატებს და სხვა.

სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე დამხმარე რესურსები. მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სწავლა-სწავლების პროცესს იმგვარად, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა ფორმატისა და ტიპის რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ აღქმასა და მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართული და არგუმენტირებულია, ემთხვევა გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და სხვა მასალები, რომლებიც ემსახურება ცოდნის გაღრმავებას. სასწავლო რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს. **რჩევა:** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვანი დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. მოცულობითი თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის.
მათემატიკა	**სამივე საფეხურზე,** სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი

	ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას; სასურველი იქნება ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რაც მეტად დააინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მკაფიოს გახდის საგნის სწავლების საჭიროებას. თუმცა ეს სკოლის სუსტი მხარე ნამდვილად არ არის და მეტიც, კათედრა შემაჯამებელ ოქმშიც განიხილავს და პრიორიტეტულ მიმართულებად ირჩევს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას მოსწავლეთა მოტივირების მიზნით.
სპორტი	**სამივე საფეხური,** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ახალი კურიკულუმის შექმნამდე კათედრამ შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში ამ შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ფორმაში წარმოდგენილია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია **school.emis.ge** და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები(**Tinkercad.com, Scratch.mit.edu,**

	Code.org ა.შ). სკოლაში კომპიუტერებთან ერთად მოსწავლეებს შეუფერხებლად მიეწოდებათ ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების აქტიურ გამოყენებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ/გამოიყენებენ სწავლების პროცესში, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** წარმოდგენილი დოკუმენტების ოქმის მიხედვით, წლის დასაწყისში ხდება ძირითადი და დამხმარე რესურსების ვალიდაცია. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება გრიფირებული სახელმძღვანელოების და სხვა რესურსების შერჩევა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში მასწავლებლები იყენებენ სასწავლო რესურსებს, სასწავლო პროცესში მათი რეფლექსირების გზით ახდენენ რესურსების ვალიდაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია (მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები (მათ შორის სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები), სასწავლო რესურსების გამოყენების ამსახველი მასალები, შემაჯამებელი დავალებები და სხვ.)

	რჩევა : სასურველია სასწავლო რესურსების ვალიდაციის მიზნით კათედრამ შეიმუშავოს უფრო მოქნილი სტრატეგიები (მაგ; გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს სასწავლო რესურსების ვალიდაცია). რჩევა ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს **სამივე საფეხურზე.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში **სამივე საფეხურზე** სასწავლო რესურსებში მითითებულია დამხმარე სახელმძღვანელობები, ასევე ონლაინ რესურსები. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს, მათ აღნიშნეს რომ თითოეულ რესურსს წინასწარ ათანხმებენ კათედრის წევრები და შემდეგ ხდება მისი კურიკულუმში გაწერა. მე მოვახიდინე დამხმარე ონლაინ რესურსების ვალიდაცია და ვადასტურებ, რომ თითოეული მათგანი სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის.
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე,** სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება გარკვეული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტებთან. სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევისას – მასწავლებლები განიხილავენ ახალ მასალებს. შეირჩევა მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს.

მათემატიკა	**სამივე საფეხურზე,** სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევისა და გამოყენების პროცესი ვალიდაციის ეტაპს გადის. არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების შინაარსობრივ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივ სტანდარტებთან და ასაკობრივ თავისებურებებთან. რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი აქტიური ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. განსაკუთრებით აქტიურად არის კურიკულუმებში განსაზღვრული ხანის აკადემიის, ტელესკოლის, იუთუბის ელექტრონული რესურსები დასახული მიზნის მისაღწევად.
სპორტი	**სამივე საფეხურის** კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. დაწყებით საფეხურის კურიკულუმის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან და განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის ერთ-ერთი საკითხია შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობა და ეფექტიანობა, რაც დასტურდება კურიკულუმში მოცემული მრავალფერივანი დამხმარე რესურსების გამოყენებით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების პედაგოგების მიერ, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები - ცალკე საპრეპარატო ოთახით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით (არის რეაქტივები და ქიმიური ჭურჭელი, ბიოლოგიური პრეპარატები, ორგანოების მოდელები, ხელსაწყოები). აღჭურვილია გამწოვი სისტემით, წყლით და კანალიზაციის სისტემით. სკოლაში ტარდება ექსპერიმენტები, რაც ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში. შესაბამისად, სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სკოლის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ასევე დაცულია მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობა.
უცხოური ენები	სკოლაში კულიკულუმში გათვალისიწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სხვადსხვა მაკეტები, პერიოდების აღწერის პლაკატები, ინსტრუმენტები, კაბინეტი, პროექტორი, ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებელი და სხვა.
სახელმწიფო ენა	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება ზღვრულ ნიშნულს, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების მორგებულობას როგორც ასაკობრივ, ასევე საგნობრივ მოთხოვნებზე. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა,

	გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ რესურსთა სრულყოფილი კომპლექტაციით, რომელიც ემთხვევა კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სკოლაში საგანმანათლებლო გარემო მოწყობილია ისე, რომ მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება რეკომენდებულ ზღვარს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ მიდგომებსა და ხარისხიან სასწავლო პროცესს. რესურსების ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების რეალიზაციას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას,
სპორტი	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სპორტის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები,
ტექნოლოგიები	**დაწყებით საფეხურზე** კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება ტექნოლოგიების ლაბორატორიაში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, ნოუთბუქები და პროექტორები. სკოლა ფლობს საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით,

	პრინტერებით, რაც აადვილებს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას მოსწავლეებში. საკლასო ოთახები აღჭურვილა შესაბამისი ტექნოლოგიებით: ნოუთბუქი, პროექტორი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია: მენტორი, წამყვანი, უფროსი, მოწვეული და მაძიებელი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები, რუქები და პლაკატები, სხვადასხვა ონლაინ რესურსი (learning.app, google, youtube), მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები;
- სკოლა აქტიურად ატარებს მონიტორინგს, დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციასთან დაკავშირებით;
- ლაბორატორიები, სპორტ დარბაზი, ბიბლიოთეკა;
- სკოლის საშტატო განრიგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება.
   სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება

მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს.

სკოლას აქვს განსაზღვრული მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. ჯგუფში შედიან კათედრის ხელმძღვანელები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სკოლაში ჩამოყალიბებულია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი", რაც მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის დანერგვის კუთხით.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი: კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება; შეფასების რუბრიკების საფუძველზე - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები.

გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება

კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, სადამრიგებლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შესახებ ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეები ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში, კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში.

შესაბამისად, სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას და სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი;
- ბრძანება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ;
- მონიტორინგისა და შეფასების ანალიზი სასწავლო წლის ბოლოს საფუძველი იქნება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის მოდიფიკაციისა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებლებთან გასაუბრებისა და სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ხდება საგნობრივი პროგრამების, თემატური გეგმების, მოსწავლეთა ნამუშევრების, მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი და სხვა. პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, მშობლები, მოსწავლეები.

სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერა. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება წარიმართება სხვადასხვა მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით მათი საჭიროებების გამოვლენით, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. პროცესის აღწერა ზოგადია, თუმცა ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, სადაც ხდება იდეებისა და ინიციატივების წახალისება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასებისას გამოიყენება მოსწავლეთა უკუკავშირი, რეფლექსიები და ხედვა. აგრეთვე, რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეებმა. შესაბამისად, ამ კომპონენტშიც სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროების დადგენა და პროგრესის შეფასება გარე ფაქტორების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. მოსწავლეებს განხორციელებული აქვთ

შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შექმნილი აქვთ სასწავლო რესურსები ყველა საგნის მიმართულებით, მონაწილეობენ სასკოლო ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობა გაუმჯობესებაში. სკოლას გათვალისწინებული აქვს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავაზება.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

კურიკულუმებში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. სკოლას უზრუნველყოფილი აქვს ჰოლისტური შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, სასწავლო პროცესის ინკლუზიურობაზე და სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობაზე, მოსწავლის აღიარებასა და წახალისებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მოსწავლის შეფასება ხორციელდება ფორმალური და არაფორმალური აქტივობის გათვალისწინებით. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ჰოლისტური მიდგომა, წახალისებული და დაფასებულია მოსწავლის ყველა წარმატება და აღიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, რათა მოხდეს მოსწავლის შეფასების გაუმჯობესება.

სკოლას აქვს გამოცდილება, შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელი და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე, აკვირდებიან, რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- შეფასება, თვიშეფასება, გაკ-ზე მოსწავლეებზე დაკვირვების ფორმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე, შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. კურიკულუმის განხორციელების პროცესი და ეფუძნება მუდმივ შესწავლასა და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებას.

მასწავლებლები ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, აღნიშნული პროცესები მიმართული იქნება სასწავლო პროცესისა და შედეგების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში ვიზიტისას დადგინდა, სასწავლო წლის დასაწყისში ყველა საგანში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება, დროის დათმობა, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება გამოვლენილი ხარვეზები, საჭიროებები და გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება კურიკულუმის განვითარების მხარდამჭერი გუნდის შესახებ;
- გადამუშავებული კურიკულუმი სკოლას ექნება ახალი სასწავლო წლისათვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 18.08.2025 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მ. როსტიაშვილი-წიკლაური

ლ. მანგოშვილი

ნ. ავალიანი  თ. ზედგენიძე

ს. ჯგერენაია  ნ. როსტომაშვილი

ნ. გორგილაძე


დ. ბოლქვაძე

შ. გაგუა  თ. ლაზარიშვილი